საერთო გაზეთი

№21 (526) • 12 ივნისი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

რას მალავს საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრობის „ბულალტერია“

● ვინ უფრო მნიშვნელოვანი პარტნიორია – საქართველო აზერბაიჯანისთვის, თუ აზერბაიჯანი საქართველოსთვის?

● რატომ მოადგნენ 1996 წელს აზერბაიჯანელები ტანკებითა და „ბეტეერებით“ საქართველოს საზღვრებს?

● არსებობს თუ არა საიდუმლო არხი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, რომლითაც აზერბაიჯანს ქართული წყალი უფასოდ მიეწოდება?

● ვის სურს ძირი გამოუთხაროს ლავრენტი ბერიას და ბაგირაოვის მიერ საფუძველჩაყრილ საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრობას?



რატომ ეცვა სალომე ზურაბიშვილს ბოტასები და არა ქალამნები?

ლევან სანიკიძის 310-ე სირცხვილი

ჰიტლერის „ჩრდილი“

მარტინ ბორმანის იდუმალებით მოცული გაუჩინარების საიდუმლო

დაიჭერს თუ არა ვლადიმერ ზელენსკი მის პატრონს მიხეილ კალამოისკის?

ბლუ არტურა, ქალბატონი რებეკა და „თბილისი პრაიდი“, ანუ მსვლელობა ჯოჯოხეთისკენ

რას მალავს საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრობის „ბუღალტერია“?

● ვინ უფრო მნიშვნელოვანი პარტნიორია – საქართველო აზერბაიჯანისთვის, თუ აზერბაიჯანი საქართველოსთვის?
● რატომ მოადგნენ 1996 წელს აზერბაიჯანელები ტანკებითა და „ბეტეერებით“ საქართველოს საზღვრებს?
● არსებობს თუ არა საიდუმლო არხი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, რომლითაც აზერბაიჯანს ქართული წყალი უფასოდ მიეწოდება?
● ვის სურს ძირი გამოუთხაროს ლავრენტი ბერიას და ბაგიროვის მიერ საფუძველჩაყრილ საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრობას?
● რა სარგებლობა მოაქვს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზას, რომლის გამოც საქართველომ მილიონობით ვალი აიკიდა?

მეგობრობა ორმხრივი გამიგია, თუმცა საქართველოს ყოველთვის ცალმხრივი მეგობრობა გამოსდის ახლო თუ შორეულ სამეზობლოსთან. ჩვენ თურმე ყველა „მეგობრის“ ინტერესებს უნდა გავუწიოთ ანგარიში, მათ კი რატომღაც იგივე „ვალდებულება“ არ აკისრიათ. დღეს კონკრეტულად აზერბაიჯანი-საქართველოს მეგობრობაზე გვინდა ვისაუბროთ. მავანთ რომ კითხო, თურმე აზერბაიჯანი რომ არ გვყავდეს მეგობარ-პარტნიორად, დიდი ხნის წინ ვიქნებოდით გადაშენებული დინოზავრებივით. ამას რა თქმა უნდა, უმთავრესად კოლქტიური ნაცები და მათი „მრევლი“ ამბობს, ის კონტიგენტი, რომელთა „ლიდერშიფსაც“ სერიოზული ბიზნესინტერესები აქვს აზერბაიჯანთან. ეს ალაგ-ალაგ „ობიექტურები“ რატომღაც არაფერს ამბობენ, თავად აზერბაიჯანი რამხელა სარგებელს ღებულობს საქართველოდან, რომ მათი ტვირთები და ენერგომატარებლები ზუსტად საქართველოს გავლით მოძრაობს და კომპეტენტურ ადამიანებს თუ დავუჯერებთ, ჩვენი ქვეყანა ამ სატრანზიტო დერეფნობიდან მიზერულ მოგებას ნახულობს.

აპრილის მიწურულს აზებაიჯანმა მორიგი „ღონისძიება“ ჩაგვიტარა – ქართული სამონასტრო კომპლექსი დავით გარეჯი, თურმე მათ ტერიტორიაზეა განთავსებული, სამინასტრო კომპლექსი ალბანური კულტურის ძეგლია, რომელთა შთამომავალმემკვიდრეებიც ყოფილან აზერბაიჯანელები და ა.შ. მსოფლიო დონის კლოუნმა სააკაშვილმა „დახმარება“ შემოგვთავაზა, მე ჩაგიწყობთ „საქმეს ჩემს დოსტსა და კოლეგა ალიევთანო, სანაცეთიც აჟრიამულდა, ჯერ მოღალატეობაში დასდეს ბრალი მოქმედ ხელისუფლებას, მერე რჩევა მისცეს, გამოიყენეთ მიშას კავშირები, თუნდაც საიდუმლოდ შეხვდითო. აქაც ქვყნის გადამრჩენის მანტიის მოსხმა სცადა სანაცეთმა, სანამ არქივები არ ამოუქექეს და არ გაახსენეს, ვის მიუძღვის ლომის წილი აზერბაიჯანელების „გაბლატავებაში“, რას ტლიკინებდა 2007 წელს თვითმფრინავის ტრამპიდან მოხსნილი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ გადამისამართებული ნინო კალანდაძე და ა.შ. ჭკვიანმა ხალხმა ისიც გაიხსენა, აზერბაიჯანი ნახევარ საუკუნეზე მეტია ქართული სასმელი წყლით (მდინარე იორის მიწისქვეშა კალაპოტი) რომ სარგებლობს და ამ ხნის განმავლობაში ერთი თეთრი არ გადაუხდია საქართველოს ბიუჯეტში. ამ ნაკადის რამდენიმე დღიანი გადაკეტვის გამო იყო, 1996 წლის შემოდგომაზე, აზერბაიჯანელები ტანკებით და ბეტეერებით რომ მოადგნენ საზღვარს.

●

სანდო და კომპეტენტური წყაროს ინფორმაციით, აზერბაიჯანისთვის სასმელი წყლის მიწოდების პროექტი 1951 წელს დაიწყო, ანუ იმ დროს როცა საბჭოთა იმპერიას ორი ქართველი, იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია მართავდნენ. ეს ობიექტი 1961 წელს შესულა ექსპლუატაციაში, როცა საბჭოთა კავშირს ბედის ირონიით, სააკაშვილზე არანაკლები მასხარა ნიკიტა ხრუშჩოვი მართავდა. აზერბაიჯანს სასმელი და ტექნიკური წყლის პრობლემა დღესაც აქვს, მაშინ მით უმეტეს. როდესაც ეს პროექტი გაჩნდა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელმძღვანელი ბერიას მეგობარი ბაგიროვი იყო. სხვათა შორის, ამხანაგმა ბაგიროვმა კარიერაც და სიცოცხლეც ლავრენტი პავლოვიჩს შესწირა. ეს ამბავი ათეული წლების წინ, უშიშროების სამსახურის ვეტერანმა თანამშრომელმა მიამბო, მის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებდი, მაგრამ რუსულ ინტერნეტსაიტებსა თუ ტელევიზიით რამდენიმე წელია ღიად საუბრობენ, რომ ბერია სასამართლო პროცესამდე უკვე მკვდარი იყო. რუსული მედია აცხადებს, რომ ლავრენტი პავლოვიჩი მოსკოვში, საკუთარ სახლში მოკლეს, უშიშროების პროფესიონალი ოფიცერი ოდნავ განსხვავებულ ვერსიას ყვებოდა, ბერია თვითმფრინავის ტრაპზე მოკლეს, როცა ის საზღვარგარეთული მივლინებიდან ბრუნდებოდა. სასამართლო პროცესზე ბერიას მაგივრად სხვა პიროვნება გამოიყვანეს. ბაგიროვს ეჭვი შეეპარა, რომ ის არ იყო მისი მეგობარი ლავრენტი, რომელსაც ჯერ კიდევ რევოლუციამდე იცნობდა ბაქოდან. მოგეხსენებათ, ბერია ბაქოს პოლიტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა, არქიტექტორი თუ მშენებელი ინჟინერი გახდებოდა პოლიტიკაში რომ არ წასულიყო. მან ფაქტობრივად გაიარა სრული კურსი, უბრალოდ დიპლომის აღება ვერ მოასწრო. ბერია 30-იან წლებში (1938 წლამდე) საქართველოს სსრ-ის პირველი პირი იყო, მისი ხელმძღვანელობის დროს, ძალიან ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა საქართველოში, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. ძველი თაობის ხალხისგან ხშირად მომისმენია, რომ ბერია საქართველოს დიდი პატრიოტი იყო. ისე, თბილისის არქიტექტურას თუ გადავხედავთ, რომელიც სტალინისა და ბერიას ზეობისას დაპროექტდა და აშენდა, აშკარად ეტყობა გემოვნებიანი პროფესიონალის თვალი და ხელი. ერთი სიტყვით, განსასჯელის სკამზე მჯდომ პიროვნებაში ბაგიროვმა ვერ ამოიცნო სიყრმის მეგობარი, შემოწმების მიზნით, დარბაზიდან აზერბაიჯანულად რაღაც დაუძახა, იცოდა ბერია კარგად ფლობდა აზერბაიჯანულ ენას. პატიმარმა არ უპასუხა, რამაც ბაგიროვი ბოლომდე დაარწმუნა, რომ ეს არ იყო ბერია, რაც ხმამაღლაც განაცხადა, ბაგიროვმა ამით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა საკუთარ თავს. იგი იმავე დღეს უგზო-უკვლოდ გაქრა, ვერც მკვდარს და ვერც ცოცხალს ვეღარ მიაკვლიეს. ნიკიტა-ხრუშას გადაგდების შემდეგაც კი ბურუსით იყო მოცული ბაგიროვის ბედ-იღბალიო. ვეტერანი ოფიცერი დარწმუნებული იყო, რომ ბაგიროვს კრემლის ბინადარნი გაუსწორდნენ.

ბერიამ მეგობარი ბაგიროვის სამშობლოს კი გაუწოდა დახმარების ხელი სასმელ და სამეურნეო წყალთან დაკავშირებით, მაგრამ ეს საქართველოს ინტერესების ხარჯზე არ გაუკეთებია. საქართველოს ამ პროექტიდან სერიოზული სარგებელი უნდა

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აღლაქის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

მიელო. თავდაპირველი პროექტით, ივრის კალაპოტში გათვალისწინებული იყო სამი წყალმაგროვებელი ჭა გათვლილი 100 ლ/წმ სიმძლავრეზე, ანუ ერთ წამში 100 ლიტრ წყალს უნდა გაევლო. აქედან ნახევარი (50 ლ/წმ) საქართველოს წყალმომხმარებლებისთვის იყო გათვალისწინებული, ადგილობრივებს უნდა მოხმარებოდა. ეს ობიექტი განთავსებულია გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე. რეალურად სამის მაგივრად ცხრა წყალმაგროვებელი ჭა გაკეთებულა და დაუზუსტებელი ინფორმაციით, წყლის დებეტმა 200-დან 400ლ/წმ-მდე შეადგინა, რაც მთლიანად აზერბაიჯანში მიდის. ხუთი რაიონი მარაგდება სასმელი და სამეურნეო წყლით, იმდენად სუფთა წყალია, რომ ხელოვნურად გაფილტვრა არც ჭირდება, პირდაპირ შეიძლება დალევა, თუმცა რამდენიმე ადგილზე ქლორს უბრალოდ პროფილაქტიკისთვის ამატებენ. საქართველო ამ ობიექტიდან არც პროექტით განსაზღვრულ წილს, წყალს იღებს და არც თანხას, ამხელა რესურსი რომ მთლიანად გაედინება. ზაფხულში რომ ვუყურებთ მდინარის კალაპოტს და გვგონია დაშრა, ამ დროს მიწის ქვეშიდან გაედინება წყალი აზერბაიჯანშიო. ამ წყალსადენის, სახელწოდებით „ჯეირან-ჩოლის“ სათავო ნაგებობები და კომუნიკაციები, როგორც ავღნიშნეთ, საქართველოს ტერიტორიაზე და პროექტის თანახმად, აზერბაიჯანული მხარის დაფინანსებით აშენდა და 1961 წელს დაიწყო ფუნქციონირება. 1971 წელს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, წყალსადენის მიერ დაკავებული ტერიტორია 15 წლის ვადით, ანუ 1986 წლამდე ყოფილა გასხვისებული აზერბაიჯანის რესპუბლიკაზე. საქართველოს კონტროლის პალატა 1996 წელს დასკვნაში წერდა, რომ ხსენებული წყალსადენის სისტემის ტექნიკური და სამეურნეო შენობა-ნაგებობები კვლავ აზერბაიჯანული „ჯეირან-ჩოლის“ წყალმომარაგების მთავარი სამმართველოს ბალანსზე ირიცხებოდა, მიუხედავად იმისა, რომ 1986 წლის შემდეგ შესაბამისი ხელშეკრულება არ განახლებულა. საეჭვოა, ამ კუთხით თუნდაც 23 წლის მერე რაიმე ცვლილება მომხდარიყო. „ავ ენებს“ თუ დავუჯერებთ, ამ 61 კილომეტრი სიგრძის წყალსადენით კვლავ მუქთად მარაგდება აზერბაიჯანი სასმელი და სამეურნეო წყლით. სანდო წყარომ კი დაგვაკვალიანა, ეს პროექტი, რომლის მიხედვითაც სამი წყალმაგროვებელი ჭა უნდა აშენებულიყო, მაგრამ რატომღაც სამჯერ მეტი ააშენეს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს არქივში ინახებაო, მაგრამ თვითონვე ეჭვი ეპარება რამეს მივაგნოთ. ეს უწყება ნაცებმა ისეთ დაჩქარებულ რეჟიმში გამოისროლეს კუთვნილი შენობიდან (კოსტავას გამზირი) და ვაშლიჯვარში, მეღვინეობა-მევენახეობის ინსტიტუტის გაცილებით მცირე მოცულობის შენობაში გადაამისამართეს, რომ ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება საარქივო მასალების მოძიება. ხსენებულ პროექტში საქართველოს სასარგებლოდ, სტალინსა და ბერიას სხვა „კომპონენტიც“ ჰქონდათ ჩადებული, ივრის წყლის სანაცვლოდ, აზერბაიჯანს დედოფლისწყაროსთვის უნდა მიწოდებინა წყალი. ამ ობიექტის, სახელწოდებით „ალაზანი“, სათავე ნაგებობა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იყო. წყაროს ცნობით, ეს პროექტი კომუნისტების მმართველობისას, ვითომდა ივრის საპირწონედ გაკეთდა, 80 ლ/წმ მოცულობის წყალი უნდა მოეწოდებინა, მაგრამ ამის ნახევარს თუ აწოდებდა და დროთა განმავლობაში გაჩერდაო. ფაქტობრივად, აქაც ისევ საქართველოს ხელისუფლება-მთავრობის რბილად რომ ვთქვათ, გულგრილობასთან გვაქვს საქმე.

„საერთო გაზეთს“ ხელში ჩაუვარდა შევარდნაძის დროინდელი კონტროლის პალატის ინფორმაცია, რომელიც ამ თემებს ეხება და სადაც ვკითხულობთ, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოწყობილი „ალაზნის“ 120 ლ/წმ საპროექტო სიმძლავრის სათავე ნაგებობიდან სასმელსამეურნეო წყალს ღებულობდნენ დედოფლისწყაროს რაიონის დასახლებული პუნქტები, სამრეწველო ობიექტები და სხვა წყალმომხმარებლები. წყლის ტრანსპორტირება 103 კმ სიგრძის მაგისტრალური მილსადენით ხორციელდებოდა. წყალსადენი და მისი სატუმბო სადგური ჩვენი ფულით ყოფილა გაშენებული, რომელსაც ექსპლუატაციას უწევდა დედოფლისწყაროს სოფლის წყალსადენების სამმართველო და მისსავე ბალანსზე ირიცხებოდა. იმის გამო, რომ წყალსადენის ამორტიზებული და კოროზირებული მაგისტრალური მილსადენიდან დიდი რაოდენობით წყალი იკარგება, ასევე სისტემაში უნებართვოდ არიან ჩართული, პროექტით გაუთვალისწინებელი წყალმომხმარებლები, 1992 წლამდე წყალმომხმარებლებს გათვალისწინებულის ნახევარი მოცულობის წყალი მიეწოდებოდა. ამჟამად (1996 წელი) სატუმბო სადგურისთვის ელექტროენერგიის მიუწოდებლობის გამო, წყალსადენი ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს და წყალმომხმარებლები წყლის მწვავე დეფიციტს განიცდიანო. წყაროს ცნობით, ეს ობიექტი დიდი ხანია აღარ ფუნქციონირებს. ამაში ვინმეს შეიძლება ეჭვი შეეპაროს, იმ „ამორტიზებულ“ და „კოროზირებულ“ მილებს, დიდი ხნის წინ ექნებათ გადაკვეთილი ჯართის „სტატუსით“ საქართველო-თურქეთის საზღვარი.

●

1996 წლის შემოდგომაზე კონტროლის პალატა აზერბაიჯანში წყლის მუქთა ექსპორტის თემით იმიტომ დაინტერესებულა, რომ „მეგობარი“ აზერბაიჯანის არმია ტანკებით მოსდგომია საქართველოს საზღვრებს. მიზეზის გარკვევა პრეზიდენტმა შევარდნაძემ ხსენებულ უწყებას დაავალა, სპეცდავალებათა სამმართველომ (ხელმძღვანელი **რომან ბჟალავა**) შეისწავლა საკითხი და დაადგინა, რომ საომარი მდგომარეობის შექმნის მიზეზი, აზერბაიჯანისთვის წყლის მიწოდების შეწყვეტა გახდა. 1995 წლის 25 მაისს დაფუძნებულა შპს „უდაბნო“, რომელმაც დაახლოებით სამ თვეში სართიჭალის ტერიტორიაზე 25-წლიანი იჯარით აიღო 35 ჰექტარი მიწის ფართობი. ამ ტერიტორიაზე ყოფილა განთავსებული ხსენებული წყალსადენი. ხელშეკრულება გაფორმდა სართიჭალის საკრებულოსა და შპს „უდაბნოს“ შორის, რომელიც დაამტკიცა გარდაბნის მაშინდელმა გამგებელმა მამალაძემ. ხელშეკრულების მიხედვით, „უდაბნო“ აღნიშნულ ფართობზე ჩაატარებდა გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს სასმელი წყლის წლის მოპოვებისა და არსებული სასმელი წყლის დებეტის გაზრდის მიზნით. მოპოვებული და დამუშავებული სასმელი წყალი ნებისმიერ მომხმარებელს მიეწოდებაო. წყაროს განცხადებით, სინამდვილეში ამ შპს-ს შექმნის მიზანი წყალსადენის ხელში ჩაგდება იყო. მათ აზერბაიჯანულ მხარეს მოსთხოვეს წყლის ღირებულების გადახდა, „პროფილაქტიკის“ მიზნით კი სამი დღით შეუწყვიტეს წყლის მიწოდება, ხუთი რაიონი სასმელი და სამეურნეო წყლის გარეშე დატოვეს, რასაც აზერბაიჯანელების მხრიდან უმწვავესი რეაქცია მოყვა. შევარდნაძემ მიზეზის გარკვევის შემდეგ დაალაგა ვითარება, ეს ფირმა უცებვე გაქრა და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაც განიმუხტაო. როგორც კონტროლის პალატის დოკუმენტშია აღნიშნული, შპს „უდაბნოს“ დამფუძნებლები ძირითადად მაშინდელი მინისტრთა კაბინეტისა და პარლამენტის ყოფილი და მოქმედი წევრები, ასევე გარდაბნის რაიონის და სოფელ სართიჭალის გამგეობის ხელმძღვანელები ყოფილან.

სართიჭალის წყლის საბადოს ექსპლუატაციას სოლიდური შემოსავლები უნდა მოჰქონდეს საქართველოსთვის და ეს საკითხი არ უნდა წყდებოდეს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დონეზეო, წერდნენ მაშინ შევარდნაძეს. ეს საკითხი დღესაც არ არის დარეგულირებული. ბიუჯეტში რომ ერთი თეთრი არ შედის აქედან ეს გასაგებია, მაგრამ რატომ გგონიათ, რომ მუქთად ამარაგებენ წყლით აზერბაიჯანს? ფული მოდის, მაგრამ გარკვეული პერსონების ჯიბეში ილექება, დაინტერესდით ჟურნალისტები და გაარკვევით, ვინ არის ჩართული მაგ სფეროში. არც ის გაგიკვირდეთ, რამდენჯერმე სახელგამოცვლილ „თბილისის წყალსაც“ თუ წააწყდებითო, განგვიცხადა კომპეტენტურმა წყარომ.

ქართველმა სპეციალისტებმა იმ პერიოდში დაითვალეს საქართველო მეტ სარგებელს ღებულობდა თუ აზერბაიჯანი მეგობარ-პარტნიორობით. არაოფიციალური გაანგარიშებით, აზერბაიჯანისთვის მიწოდებული წყლის ღირებულება პლაცის მიხედვით, აღემატებოდა იმ პერიოდისთვის საქართველოში მოხმარებული საწვავის (ბენზინი და დიზელი) საერთო ღირებულებას ასევე პლაცის მიხედვით (პლაცი — საერთაშორისო კომისიის მიერ დადგენილი ფასები, საწვავის, წყლის და ა.შ. საერთაშორისო ფასები). ბუნებრივ რესურსს, რომელიც ენერგომატარებელზე ძვირიც კი ღირს, ჩვენ ოფიციალურად უფასოდ ვაძლევთ უცხო ქვეყანას. ივრის ხეობაში, სადაც ეს წყალსადენი გადის, 61 კმ-იანი მონაკვეთი, ამ პროექტთან დაკავ-

4 გვ. →

რას მალავს საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრობის „ბუღალტერია“?

3 გვ.

შირებით აზერბაიჯანიდან ჩამოსახლებულები ცხოვრობენ, რომლებსაც მოქალაქეობაც აქვთ მიღებული. ესენი ძირითადად არიან აზერბაიჯანის ძალოვანი სტრუქტურების (უშიშროების სამსახური, შსს) პენსიონერები თავიანთი ოჯახებით, რომლებსაც სახლები და მიწის ნაკვეთები უყიდეს იმ ტერიტორიაზე. მათ აზერბაიჯანის მოქალაქეობაც აქვთ და ორივე ქვეყანაში იღებენ პენსიასო. ვისი ინტერესების გასატარებლად იმუშავებს ეს კონტიგენტი ცხადია...

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის **დავით გაგნიძის** განცხადებით, აზერბაიჯანელების ჩვენი საზღვრებისკენ ჯავშანტექნიკით „გამოსეირნება“ არახალია, 1993 წლის შემოდგომაზე მათ ქართველი პოლიციელები ჩვენივე ტერიტორიაზე დააკავესო.

დავით გაგნიძე: „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლები ავტომატებით

შეიარაღებულები რამდენიმე ავტომანქანით იყვნენ წასულები „წითელ ხიდთან“ სპეცოპერაციის ჩასატარებლად. ადამიანებს რომ იტაცებდნენ, მერე მაგ ტერიტორიაზე ხდებოდა გამოსასყიდის გადაცემა. ხელმძღვანელობა დაღვრემილი და აფორიაქებული იყო, აზერბაიჯანელები გადმოვიდნენ ჩვენს ტერიტორიაზე და დააკავეს ჩვენი პოლიციელები, მთელი მთავრობაა ჩართული, რომ გაათავისუფლონო. ნაშუაღამევს დაბრუნდნენ ეს თანამშრომლები და მათგან გავიგეთ, რომ აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს ჩვენი ტერიტორია ჰქონდათ დანაღმული. როგორც კი დავაპირეთ იქ შესვლა, აზერბაიჯანელები ტანკებით და „ბეტეერებით“ გადმოვიდნენ, ვუთხარით, რომ პოლიციელები ვიყავით, მაგრამ მაინც აგვყარეს იარაღი, დაგვაკავეს და თავიანთ ტერიტორიაზე გადაგვიყვანესო. მერე ხელისუფლებების დონეზე მოხდა ჩარევა და გაათავისუფლეს, მაგრამ ეს ამბავი არ გაუხმაურებიათ. საქართველოს ტერიტორიაზე 7 კმ-იანი მონაკვეთი აქვთ დანაღმული აზერბაიჯანელებს. მანდ აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობს. მერე რაღაცა ღონისძიების ჩასატარებლად ვიყავით ჩასულები და ადგილობრივებმა გვითხრეს, რამდენიმე ადამიანი აფეთქების გამო დაიღუპაო. ვითომ ყარაბაღის ომი რომ დაიწყო, მაგიტომ შემოდიოდნენ აზერბაიჯანელები და ნაღმავდნენ საქართველოს ტერიტორიას. მაგ პერიოდში საქართველოშიც არეულობა იყო, მერე სამოქალაქო ომი და უპატრონობა, უკონტროლო ზონა იყო და თავიანთ ნებაზე რასაც უნდოდათ აკეთებდნენ. ერთე-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მოუწოდა აზერბაიჯანელებს, რომ გაენაღმათ ეს ტერიტორია, მაგრამ აზერბაიჯანელები ტანკებით გამოუვარდნენო. წარმოიდგინეთ რამდენს ბედავენ, ჩვენი ტერიტორიის განაღმვის საშუალებას არ გვაძლევენ. რაღაც ხელშეკრულებაზე ჰქონია ხელი მოწერილი აზერბაიჯანს, რომ თავის ტერიტორიაზე არ აქვს მინების განთავსების უფლება. ჩვენ არ ვართ მიერთებული მაგ ხელშეკრულებას და ჩვენი ტერიტორიიდან იცავენ თურმე თავიანთ საზღვარს. დღესაც დანაღმულია ის 7 კმ-იანი მონაკვეთი. ან დავით გარეჯის კომპლექსთან დაკავშირებით ერთი ამბავი რომ აქვთ ატეხილი და საქართველოს მოქმედ ხელისუფლებასაც სირაქლემასავი რომ აქვს თავი წარგული, საკუთარი თვალით მაქვს წაკითხული ჰეიდარ ალიევსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის შეთანხმების შესახებ, ოქმიც კი გაფორმდა, რომ მაგ ტერიტორიაზე 1938 წლის რუკის მიხედვით უნდა გაიაროს საზღვარმა. ამ რუკის მიხედვით, სამონასტრო კომპლექსის იქითაც ჩვენი ტერიტორიაა. ეს აზერბაიჯანელებმაც კარგად იციან, აზერბაიჯანელმა პოლიტოლოგმაც აღნიშნა, რომ არასდროს ყოფილა სამონასტრო კომპლექსი მათი. ნაციონალები რომ ფულის გულისთვის ყველაფერს იკადრებენ, გასაგებია და გამოაცხადა კიდეც მათმა ბელადმა, რომ თურმე ალბანური ძეგლია და დანარჩენმა თუთიყუშებმაც გაიმეორეს, მე ამ ხელისუფლების პოზიცია მაინტერესებს, საქართველოს ხელისუფლების, რბილად რომ ვთქვათ, უმოქმედობის თუ „გულმოწყალეობის“ ბრალი არ არის, რომ აზერბაიჯანი უკვე სოფელ ერისიმედს გვედავება?

წყლით მუქთად ვამარაგებთ აზერბაიჯანსო რომ ვჩივივართ, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზას თურქეთისა და აზერბაიჯანისთვის არ ვაკეთებთ? საქართველოს იქიდან ფაქტობრივად არანაირი შემოსავალი არ ექნება, არადა ამ რკინიგზის საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მონაკვეთის რეაბილიტაციისა თუ ბოლომდე დასამთავრებლად 775 მილიონიანი კრედიტი აიღო საქართველოს ხელისუფლებამ აზერბაიჯანისგან. წარმოიდგინეთ, აზერბაიჯანი თავისი სასარგებლო საქმის გასაკეთებლად კრედიტს გვაღებინებს, რომელიც 25 წლის განმავლობაში უნდა ვიხადოთ. ქართული მხარე კი ამბობს, რომ 240 მილიონიანი კრედიტია, მაგრამ რუსულ საიტებზე 775 მილიონს ასახელებენ და სიმართლე გითხრათ, ამ უკანასკნელი ინფორმაციის უფრო მჯერა. ამერიკის ხელისუფლებამ ნაციონალებს უარი უთხრა მაგ პროექტის დაფინანსებაზე, იქ სომხურმა ლობმა სერიოზულად იმუშავა, რომ ამერიკულ ბანკს არ გაეცა საჭირო თანხა, რადგან სომხეთი ჩიხში რჩებოდა. ეს რკინიგზა თუ ამუშავდა, ჩათვალეთ, რომ ფოთის და ბათუმის პორტები გაჩერდება, რადგან როგორც წესი, რკინიგზა ყველაზე იაფი ტრანსპორტია. რომელ ანაკლიის პორტის აშენებაზე ვლაპარაკობთ, როცა არსებულ პორტებსაც კი ვერ დავტვირთავთ. ამ შემთხვევაში ანაკლიის პორტს ერთადერთი სამხედრო დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს, თვალები გავახილოთ და ყურები გამოვიჩხრიკოთ, იქნებ როგორმე მივხვდეთ, რომ რუსეთი არ დაუშვებს ნატოსი იქნება თუ ამერიკის ღრმაწყლოვანი სამხედრო ობიექტის აშენებას შავი ზღვის ამ მონაკვეთზე. ამან შეიძლება საქართველოს ფიზიკური ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე დაგვაყენოს“.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

რატომ ეცვა სალომე ზურაბიშვილს ბოტასები და არა ქალამნები?

ღვთის მადლითა და შეწევნით, საქართველოში თითქმის ყოველი დღე რელიგიურია, ანუ თითქმის ყოველი გათენება დღესასწაულს უკავშირდება. ასე იყო პირველ ივნისაც – წმიდა ნონოს შემოსვლა ვიზეიმეთ. პრინციპში, ვიზეიმეთ რა... ჩვენ კაი ხასიათზე მაშინ ვდგებით, როცა ერთმანეთს ვლანძღავთ, ვაფურთხებთ და ტალახში ვათრევთ. დიახ, ჩვენ ამ დროს ვუშვებთ ბოლს ერთი ადგილიდან, ვიცლებით ბოღმისგან და ვგრძნობთ შვებას მორიგ ახალ „სასკანდალო“ თემამდე. თან არ დაგვავიწყდეს, ვართ ფრიად მორწმუნენი, დავდივართ ეკლესია-მონასტრებში, მუხლებზე ვეცემით და ვთხოვთ უფალს შენდობას. პრინციპში, შენდობას რა... ვთხოვთ ძალას, ღონეს და დიდხანს სიცოცხლეს, რათა ერთმანეთს უკეთესად გავუმწაროთ ცხოვრება. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, პირდაპირ სათქმელზე გადავალ: იმას მოგახსენებდით... პირველი ივნისი არის საქართველოში წმინდა ნინოს შემობრძანების დღე და ფაქტობრივად, ჩვენი გაქრისტიანების დასაწყისი. გადმოცემის თანახმად, წმიდა ნინო ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა უფლისადმი სიყვარულით, იგი ხშირად ლოცულობდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე. ერთ დღეს, ლოცვის დროს გამოეცხადა ღვთისმშობელი მარიამი, რომელმაც აკურთხა და უთხრა, რომ წასულიყო ჩრდილოეთის ქვეყანაში, რომელიც იყო ღვთისმშობლის წილხვედრი მიწა და ექადაგა ჭეშმარიტება. ნინომ ღვთისმშობელს უთხრა, რომ პატარა და უსწავლელი ადამიანი ამ დიდ საქმეს ვერ შეძლებდა, მაგრამ ღვთისმშობელმა მისცა ვაზის ჯვარი და უთხრა, რომ ყოველთვის მასთან იქნებოდა და დაიფარავდა. ხილვის დასრულების შედეგ ნინოს ხელში ვაზის რტოებისგან აწყობილი ჯვარი ეპყრა, რომელსაც თავისი თმა მოახვია. საქართველოს მიწაზე ფეხი წმინდა ნინომ 319 წელს დადგა. საქართველოში იმ დროს მირიანი მეფობდა, სატახტო ქალაქი მცხეთა იყო და ერი კერპთაყვანისმცემლობას მისდევდა. შემდეგ რაც მოხდა, ყველამ იცით, ამიტომ ამ ამბის მოყოლით აღარ გადაგღლით. მხოლოდ იმაზე მოგითხრობთ, თუ 319 წლის შემდეგ, ანუ დღეს როგორ არის დამახინჯებული ქართველთა დიდი ნაწილის ცნობიერება.

პირველ ივნისამდე, ცოტა ხნით ადრე პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა თქვა, წმიდა ნინოს ნაკვალევზე უნდა მოვიარო საქართველოს კუთხეებიო. ამას, როგორც მოსალოდნელი იყო, ეგრევე მოჰყვა „ნაციონალებისა“ და მათთან გათანაბრებული პირების ხი, ხი, ხი და ხო, ხო, ხო... ანუ ქირქილ-ღადავი... რაიო? ეს რა უთქვამს და მოუჩმახავს ამ სულელ დედასკაცსაო? როგორ, რაღა დროს ნინოს ნაკვალევია, გარეთ ხომ 21-ე საუკუნეაო? ვიმეორებ: ვინც ამბობს, გარეთ 21-ე საუკუნეაო, ხშირად მინახავს ასეთები ეკლესიაში თავზე „კასინკაწაკრულები“, სანთლით ხელში რომ ბუტბუტებენ იესო ქრისტეს, ნინო კაბადოკიელის თუ სხვა წმინდანების ხატებთან. ახლა კი, რადგანაც პრეზიდენტმა ნაკვალევი ახსენა, აიგდეს, აქილიკეს და ბოლოს იქამდეც მივიდნენ, რომ თავზე გადაიფსეს!

სხვათა შორის, ბოლო დროს ხშირად მესმის – რა დროს ეს არი, რა დროს ის არი, ამან ეს თქვა, იმან ის თქვა, გაიხედეთ, ხალხო, გარეთ 21-ე საუკუნეაო. ასეთებს მივმართავ: თქვე ოხრებო და ტიალებო, 21-ეს საუკუნე დადგა სულ რაღაც 19 წელიწადია, რა თახსირებიც მე-20 საუკუნეში იყავით და როგორი კრეტინი წინაპრებიც გყავდათ წინა საუკუნეებში, ისეთები ხართ დღესაც, გგონიათ, „აიფონმა“, ინტერნეტმა და ავტომობილის ახალმა მოდელებმა რამე შეცვალა თქვენში, ანუ თქვენს ჯიშში, ჯილაგსა და გენში? არაფერი, აბსოლუტურად არაფერი, რანიც იყავით, იგივენი დარჩით!

მოდით, ახლა ვნახოთ, როგორ გამოხატეს თავიანთი ემოციები სალომე ზურაბიშვილის რელიგიურ ნაბიჯებთან დაკავშირებით „დიდმა“ ადამიანებმა:

შალვა ნათელაშვილი – კიდევ კარგი, წმინდა ნინომ არ იცოდა, რომ სალომე ზურაბიშვილი მის გზას დაადგებოდა, თორემ აღარ ჩამოვიდოდა საერთოდ.

ნიკა გვარამია – საქართველოს პრეზიდენტი. 21-ე საუკუნის ოციანი წლები. მგონი, ამ ქალის კრიტიკა

უკვე არაკორექტულია. ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაცინვა ტეხავს მაინც.

საკუთარი აზრი „პალიტრა ნიუსის“ ეთერში გამოთქვა ყველაფრის ექსპერტმა გია ხუხაშვილმაც (აბა, სხვანაირად როგორ იქნებოდა?) სალომე წინ რომ მოდიოდა, ეს რა უბედურება იყო, პირველი სასულიერო პირი არ უნდა ყოფილიყო? წამყვანი ეუბნება, ჯვარი მაგას ეჭირა და ამიტომო. არც ერთს არ გახსენებია, ნინო ქალი იყო, სალომეც ქალია და ამიტომო. არაო, ხუხაშვილმა, თვითონაც მრევლია და მრევლს წინ რომ მოუძღვოდა, ეს მის პატივმოყვარეობაზე მეტყველებსო.

როგორც ხედავთ, ნიკა გვარამიამ უკვე ხელი ჩაიქნია სალომე ზურაბიშვილზე, რაკი ჯვარი აიღო ხელში, ფსიქიკურად ვერ არისო. არადა, იყო დრო, ამ ქალის გამო საქართველოსაც კი ტოვებდა. მეტიც, იყო დრო, წითელ წიწაკას ჭამდა, ტრაკში ნიშადურის სპირტს ისვამდა, აქციებზე დარბოდა და ქალებს ურტყამდა. მოკლედ, გიჟად იყო. არა, ეხლაც არ არის დალაგებული, მაგრამ რა შედარებაა? თავადაც ხედავთ, უკვე მეცოდება, რომ გავაკრიტიკო, არაკორექტულობაში ჩამეთვლებაო. ისე, რაღა დაგიმალოთ და შალვა ნათელაშვილმაც მაგრად „გაარტყა“, კიდევ კარგი, წმინდა ნინომ არ იცოდა, რომ სალომე მის გზას დაადგებოდა, თორემ საერთოდ არ ჩამოვიდოდა საქართველოშიო. არადა, დარწმუნებული ვარ, ნინოს რომ სცოდნოდა, როგორ შეიშლებოდნენ ქართველები ჭკუიდან, სომხეთში აღარ შეივლიდა, პირდაპირ საქართველოში შემოვიდოდა და ჯვართან ერთად დამაწყნარებელ წამლებსაც წამოიყოლებდა, რაც შემდგომ საუკუნეებში ბევრ ე.წ. პოლიტიკოსს გამოადგებოდა.

ჰოდა, ბევრი იმსჯელა ერმა თუ ცოტა, პრეზიდენტის ბოტასებსაც მიადგა. აი, ეს კი ნამდვილად გახლავთ საუკუნის სკანდალი! ბევრმა ვერ გაიგო, რატომ ეცვა სალომე ზურაბიშვილს ბოტასები და არა ქალამნები. პრინციპში, ისტორიისთვის უცნობია, რა ეცვა ფეხზე ნინოს (სავარაუდოდ, ბერძნული ლაფუტები უნდა სცმოდა), მაგრამ ამ საკითხშიც გამოჩნდნენ ექსპერტები – ზოგმა თქვა, ნინოს კალოშები ეცვაო, ზოგმა – ფეხშიშველი იყოო, ზოგმა – მოკასინებიო, ზოგმა – ჩინური კედებიო... აი, ბოტასები კიდენა ნამეტანია, რელიგიურად გრეხიაო. თანაც მაშინო, როცა პრეზიდენტს ჯვარი ცოტა დამრეცად ეჭირაო, მარცხნივ იყო გადაწეულიო, ნინო როცა შემოდიოდა, მარჯვნივ იყო გადმოწეულიო.

მოკლედ, სანამ ერი გუგუნებდა და ბრდღვინავდა... სოფელ ფოკაში ნინოობა აღნიშნეს. პრეზიდენტი წირვას დაესწრო, შემდეგ კი მსვლელობას შეუერთდა, რომლის 2000 მონაწილემ წმინდა ნინოს გზას გაიარა. მისი თქმით:

„ამ გზით ევროპელები მიხვდებიან, რამდენად ევროპულია საქართველო. ეს მარშრუტები მნიშვნელოვანია როგორც კულტურული და ტურისტული კუთხით, ასევე ეკონომიკური და რეგიონული თვალსაზრისითაც. ეს მარშრუტები ჩვენი რეგიონების აღმოჩენა იქნება, რადგან ეს არის რეგიონების პირდაპირი და სწორი განვითარების გზა“.

აი, ხედავთ? საქართველოს პრეზიდენტს, გარდა რელიგიურისა, სხვა მიზანიც ჰქონია, ასე ევროპელები უკეთესად გაიგებენ საქართველოს ტურისტულ მარშრუტებს და ხვალზეგ უფრო მეტი ტურისტი და ინვესტორი ჩამოვაო. გამოგიტყდებით, არის ამაში სიმართლე, ჩვენ თუ არ ვეცადეთ, სხვები არ დაგვაფასებენ. ჩვენ თუ არ გავაგებინეთ, სხვები ვერ გაიგებენ. სხვათა შორის, ჩვენ ჯერ ისიც კი ვერ გაგვიცნობიერებია, რა ქვეყნისა და სიმდიდრის პატრონები ვართ. დამიჯერეთ, ერთი ხელის გაქნევაა საჭირო და ედემად იქცევა. სამწუხაროდ, ხელის გაქნევას უცხო მიწაზე ხეტიალი და ხშირ შემთხვევაში მაიმუნობა გვირჩევნია. ახლა მეტყვით, ფაქტები დადე, რომ ხელის გაქნევა-განძრევა არ გვინდაო. კი, ბატონო, არ არის პრობლემა: როგორც ბრიტანელმა მეცნიერებმა გაიანგარიშეს, წლის განმავლობაში ქართველები ერთმანეთის ლანძღვაში იმდენ ენერგიას ხარჯავენ, რამდენიც სამი ნორმალური ქვეყნის აშენება-აყვავებას ეყოფოდა.

არის თუ არა ეს ფაქტი?!

ასევე, გაეროს კვლევის თანახმად, ქართველები ერთი თვის განმავლობაში ათასნაირ სისულელეში იმდენ დროს კარგავენ, რამდენიც თავისუფლად ეყოფოდა ათასი ჭკვიანური პროექტის შემუშავებას.

არის თუ არა ეს ფაქტი?!

მეტიც, ფრანგი ანალიტიკოსების განცხადებით, ქართველები ერთმანეთის მიმართ წლის განმავლობაში მუშტებს რომ იქნევენ, ასე თოხი რომ იქნიონ, ქვეყანაში ერთი გოჯი მიწაც კი არ დარჩებოდა დაუმუშავებელი.

არის თუ არა ეს ფაქტი?!

რა თქმა უნდა, არის!

ახლა იმასაც მკითხავთ, ბრიტანელმა მეცნიერებმა, გაერომ და ფრანგმა ანალიტიკოსებმა მართლა გამოგვიკვლიესო? აპა, მეტი საქმე არ აქვთ! მაგათ რომ არ გამოგვიკვლიონ, რა, ჩვენ არ ვიცით, როგორი ბედოვლათებიც ვბრძანდებით?

ძალიან კარგად ვიცით!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

მწერლობის შესახებ

ვახტანგ ხარჩილავა:

ამ ერთი წლის წინათ ინტერნეტში ასეთ მიწერ-მოწერას გადავაწყდი:

— ძალიან მაგარი პოეტი აღმოვაჩინე — ვახტანგ ხარჩილავა.

— იცი, ვინ არის ეგ კაცი?

— არა...

— გახსოვს, მეტროში ერთი მაღალ-მაღალი კაცი რომ დადიოდა და მგზავრებს ლექსებს რომ უკითხავდა?

— უი, კიიი...

— ჰოდა, ეგ არის ვახტანგ ხარჩილავა!

— რას მეუბნები? ადრე ხშირად ვხედავდი, ბოლო დროს დიდი ხანია, არ მინახავს.

— ალბათ, მოკვდა საწყალი.

ეს საუბარი რომ წავიკითხე, ერთი პირობა ვიფიქრე, გავახარებ ამ ადამიანებს, ვეტყვი, რომ შეეშალათ, ის სულ სხვა ვახტანგი იყო (მეც ვიცნობდი იმ კაცს, მასაც ვახტანგი ერქვა), მე კი, ნამდვილი ვახტანგ ხარჩილავა, ცოცხალი ვარ-ნეთქი, მაგრამ მერე გადავიფიქრე — დაე, ეგონოთ, როგორც ჰგონიათ, ცოცხალი ვარ თუ მკვდარი, ის ვახტანგი ვარ თუ სხვა, რა მნიშვნელობა აქვს მათთვის? მთავარია, ლექსებს რომ კითხულობენ, პოეზია რომ უყვართ და ცუდის და კარგის გარჩევა რომ შეუძლიათ... სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანი და უმნიშვნელოა.

●

როგორც მივხვდი, ადამიანები, რომლებსაც მეტროს პოეტ ვახტანგში ვეშლები, ახალგაზრდები არიან.

ისინი ჩემს თაობას, ფაქტობრივად, არ იცნობენ, რადგან რაღაც უხილავმა და უჩინარმა ძალამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩვენ ერთმანეთი არ გვცნობოდა და თაობებს შორის კავშირი არ შემდგარიყო.

ვიღაც მიზნობრივად წვავდა ხიდებს ჩვენს შორის, რომ ერთმანეთთან მისვლა გაგვძნელებოდა და სხვადასხვა ნაპირებზე დარჩენილებს ერთმანეთისთვის ხმა ვერ მიგვეწვდინა.

ხოლო იქ, სადაც არ არსებობს კავშირი თაობებს შორის, იქ, სადაც არ არსებოვს მუდმივი დიალოგი თაობებს შორის, ვერც ნორმალური საზოგადოება განვითარდება, ვერც ნორმალური სახელმწიფო აშენდება, ვერც მწერლობაში შეიქმნება ღირებული და სრულფასოვანი რამ და ვერც ხელოვნებაში.

ჩვენ, წინამავალნი, ჩვენს უკან მომავალ თაობებს დავეკარგეთ და ახლა ანდერგრაუნდებსა და მეტროებში მობორიალე ლანდებში დაგვეძებენ.

●

თითქოსდა დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ქართული მწერლობის იგნორირება, მისი შევიწროება და აბუჩად აგდება მაშინ დაიწყო, როცა საქართველომ დამოუკიდებლობას მიაღწია.

მწერლობა, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა თავისუფლებისათვის ბრძოლაში და განუზომლად დიდი მსხვერპლი გაიღო ამ ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინებაში, განსაკუთრებულ პატივს და მადლიერებას იმსახურებდა, მაგრამ მოხდა პირიქით, ამ დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში მწერლობა მოურიდებლად გასწიეს განზე და ბოლოს ისიც კი აკადრეს:

— ქართული მწერლობა არ არსებობს! ნამდვილი მწერლები მთაწმინდაზე განისვენებენო.

თუმცა ვცდები — ეს ფრაზა დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ კი არა, დამოუკიდებლობის მიღებამდე ორი თუ სამი წლით ადრე ითქვა და გზადაგზა ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ საზოგადოება ქართული მწერლობის არარსებობაში დაერწმუნებინათ.

ამ დამანგრეველ, ვანდალურ პროცესს რომ ვაკვირდებოდი, თავიდან ვფიქრობდი, რომ ქვეყნის ამოტრიალებასთან ერთად, ფსკერიდან ამოტრიალებული და ზედაპირზე მოქცეული ბრიყვების, მანამდე ვერშემდგარი და არაფრისმაქნისი ადამიანების უსაგნო და ავადმყოფური ამბიციების გამო ხდებოდა ეს ყველაფერი, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ საქართველო

მათ გაათავისუფლეს, საბჭოთა იმპერიაც მათ დაანგრიეს და ამ გმირობაში მათ გარდა, სხვა არავის ედო წილი, მათ შორის არც მწერლობას, თუმცა გავიდა დრო და მივხვდი, რომ მწერლობის ჩაჩოჩების და ბოლოს მისი ასპარეზიდან გაძევების მზაკვრული პროექტი არც „ზემელთან“ თუ იმდროინდელ ლენინის მოედანთან გამართულ ხალხმრავალ მიტინგებზე დაბადებულა, არც თვითმარქვია „გამათავისუფლებლების“ თავებში, ის დაიბადა და დაიწერა სხვაგან, საქართველოს საზღვრებს გარეთ.

მწერლობის დისკრედიტაციის პროექტი ნაწილი იყო იმ დიდი გეგმისა, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო საბჭოთა კავშირიდან გამოსული რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, ახალ რჯულზე მოქცევა, ამისთვის კი მწერლობას შეიძლებოდა სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია, ამიტომაც გამოუტანეს მას სასიკვდილო განაჩენი, ოღონდ სიკვდილი არა ერთბაშად, არამედ ნელ-ნელა ნაწილ-ნაწილ, ეტაპობრივად.

მაშინ, როდესაც ქართველი ხალხი გულწრფელი აღტკინებით მიილტვოდა სუვერენიტეტისკენ და მიამიტურად ეგონა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად სრულ თავისუფლებას და ბედნიერებას მოიპოვებდა, სადღაც, ცხრა მთის და ცხრა ოკეანის იქით, გასაიდუმლოებულ ლაბორატორიებში ისხდნენ ხალხებისა და ქვეყნების დაკაბალებასა და დაჩმორებაში დაოსტატებული სტრატეგოსები და საქართველოსთვის ბადისწერის ახალ წიგნს წერდნენ.

იმ წიგნში მწერლობისთვის სქელი წითელი ხაზი იყო გადასმული, ისე როგორც ხაზი იყო გადასმული ქართული სახელმწიფოს მარადიული ფორმულისთვის „ენა, მამული, სარწმუნოება“, რასაც მთელი თავისი არსებობის მანძილზე ერთგულად და თავგანწირულად ემსახურებოდა ქართული მწერლობა?

თავისუფლების მოპოვება იმისთვის არ გვჭირდებოდა, რომ თავისუფლება დაგვეკარგა და როცა ეს ხმამაღლა, გარკვევით და კატეგორიულად ითქვა — დინების საწინააღმდეგოდ მიცურავთ თქვენო, — გვითხრეს და განაჩენიც გამოგვიტანეს.

ვიღაც-ვიღაცებს ავიწყდებათ, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, დიდი ქართველი მწერლის ოჯახში დაბადებული და ქართული მწერლობის მიერ დამკვიდრებულ ეროვნულ იდეებსა და იდეალებზე აღზრდილი პიროვნება, თავადაც შესანიშნავი მწერალი იყო.

ეს იმათაც ავიწყდებოდათ ხანდახან, რომლებიც გამსახურდიას ერთგულ თანამოაზრეებად კი თვლიდნენ თავს, მაგრამ ეს არ უშლიდათ ხელს, ქართული მწერლობა მოკვდაო, ემტკიცებინათ.

ქართველი მწერალი რომ მიუღძოდათ წინ, ამას, რატომღაც, ვერ ხედავდნენ.

იქნებ, ხედავდნენ კიდევაც, მაგრამ ამის ხმამაღლა თქმას და ამისთვის ხაზგასმას, მიზეზთა და მიზეზთა გამო, საჭიროდ არ თვლიდნენ.

მოკლეს მწერალი ზვიად გამსახურდია.

მოკლეს მწერალი მერაბ კოსტავა..

ამ ორი მწერლის მოკვლით საქართველოში დამთავრდა ერთი დიდი ეპოქა და დაიწყო ქურდების, ბანდიტების, ყაჩაღების, არამზადების ზეობის ხანა.

პროექტის პირველი ნაწილი წარმატებით დასრულდა...

ამის შემდეგ არც პროექტის მეორე ნაწილის განხორციელება გასჭირვებიათ — მწერლობას პირდაპირ უთხრეს, რომ არც მწერლის სიტყვა სჭირდებოდა ვინმეს, არც თავად ეს მწერალი.

უკვე კომიკურად და ცინიკურად ჟღერდა ეს სიტყვები: „მეცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“.

●

ძვირფასო მკითხველო, რამდენი ხანია, თქვენ ქვეყნის ჭირვარამზე მოსაუბრე მწერალი არ გინახავთ ქართული ტელევიზიების ეკრანებზე?

ნიკუტა გვარამიას ტელევიზიას არ ვგულისხმობ, სადაც „ნაცმოძრაობის“ ლიტერატურული პარტუჯრედის წარმომადგენლები მწერლობის სახელით ყაყანებენ ხოლმე.

მწერლები კი არა, ესენი იმ იდეოლოგიური დესანტის წევრები არიან, რომლებსაც ქათველების ახალ რჯულზე მოქცევა ევალებათ და ამ მისიის წარმატებით შესასრულებლად მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი როგორც შინ, ასევე ქვეყნის გარედან.

სამწუხაროდ, „ნაცმოძრაობის“ შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ „ქართულ ოცნებას“ არც უცდია „ნაცმოძრაობის“ მიერ სხვადასხვა დარგებში და სტრუქტუებში ჩანერგილი იდეოლოგიური ჯგუფების განეიტრალება და ყველაფერი ისე დატოვა, როგორც სააკაშვილის დროს იყო.

ყოველივე ამის შემდეგ რა-

ტომ უკვირს „ქართულ ოცნებას“ თუ მის მიერ გაკეთებული უამრავი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე დაუნახავი და შეუფასებელი რჩება?

ვინ უნდა დაინახოს, ვინ უნდა შეაფასოს ყოველივე ეს, თუ არა მწერალმა, მაგრამ როგორ უნდა დაინახოს და როგორ უნდა შეაფასოს, როცა ამ მწერალს არანაირი ტრიბუნა არ აქვს, რომ სათქმელი საზოგადოების ყურამდე მიიტანოს?

სათქმელის მიტანა კი არა, ეს გაუბედურებული მწერალი, დამშეული, დაბეჩავებული, დამცირებული სახლში ზის და სიკვდილს ელოდება.

„ქართულმა ოცნებამ“ ისიც კი ვერ მოახერხა, მწერლობისთვის დაებრუნებინა „ნაცმოძრაობის“ დროს მწერლობისთვის წართმეული მწერალთა სახლი, სადაც დღემდე ნიკა რურუას მიერ დანიშნული ადმინისტრაციაა გამაგრებული.

ამასწინათ ვიყავი ამ აადმინისტრაციის მიერ ოკუპირებულ მწერალთა სახლში და, ჰოი, საოცრებავ — სასახლის ბაღში რესტორანი გაუხსნიათ, სადაც, როგორც ამბობენ, ღამღამობით ფრიად საეჭვო სერობები იმართება თურმე.

სახელმწიფო არ შეიძლება მხოლოდ იმისთვის არსებობდეს, რომ ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი კარტოფილი, კიტრი და პამიდორი მოვიყვანოთ, რაც შეიძლება მეტი ღვინო ჩამოვასხათ, რაც შეიძლება მეტი ხორცი, რძე და კარაქი ვაწარმოოთ და ეს იყოს ერთადერთი და უპირველესი მიზანი.

სახელმწიფო, რომელიც არ ეყრდნობა სულიერ ფასეულობათა და ღირებულებათა ფუნდამენტს, სახელმწიფო კო არა დიდი საწარმოა, სადაც ადამიანები შრომობენ, სარჩ-საბადებელს შოულობენ, სვამენ, ჭამენ, მრავლდებიან, მაგრამ არ იციან, რისთვის ცხოვრობენ და რა აზრი და დანიშნულება აქვს მათ ცხოვრებას.

ამ ფუნდამენტის გარეშე სახელმწიფო ჰაერშია გამოკიდული...

ამ ფუნდამენტს კი მწერლობა ქმნის.

პირველად იყო სიტყვა, სხვა დანარჩენი ზედნაშენია.

მწერლობიდან იწყება ყველაფერი — განათლება, თეატრი, კინო, მედია და თვით პოლიტიკაც.

და, რაც მთავარია — მწერლობიდან იწყება ადამიანის ადამიანად, მოქალაქედ, საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბება.

სახელმწიფოს, რომელსაც მწერლობა არ უნდა, სინამდვილეში არ უნდა, იყოს სახელმწიფო.

გაითვალისწინეთ ეს, პატივცემულო ხელისუფალნო, ხოლო, როგორ უნდა ექცეოდეს სახელმწიფო მწერალს, ამის გასაგებად შორს წასვლა არ მოგიწევთ — თუნდაც მეზობელ აზერბაიჯანში შეიხედეთ, გნებავთ, სომხეთში გადაირბინეთ...

●

ვერიდები მწერალთა შეკრებებზე მისვლას — იმდენ გაჭირვებულ, დაბეჩავებულ, თითქოსდა დაშინებულ ადამიანს ვხედავ, გული მიკვდება...

გუბაზი – ლევან სანიკიძის 310-ე სირცხვილი

ისტორიკოსმა ლევან სანიკიძემ საქართველოს 309 სირცხვილი ჩამოუთვალა, მერე ეს სირცხვილები ერთად შეკრიბა და წიგნადაც გამოსცა, რომელსაც „საქართველოს 309 სირცხვილი“ უწოდა.

როცა ამ წიგნს წერდა, რა იცოდა ბატონმა ლევანმა, რომ ამ ჩამოთვლილ 309 სირცხვილზე არანაკლებ დიდი სირცხვილი — 310-ე სირცხვილი მისი ვაჟი გუბაზი იქნებოდა?

გუბაზიმ, ძემ ლევანისამ, რომელსაც ეს სახელი ისტორიკოსმა მამამ, როგორც ეტყობა, დიდი მეფე გუბაზის საპატივცემულოდ დაარქვა, ყველა ნორმა და მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ყველა ის კანონი დაარღვია, რომელთაგან გადახვევა ქართველი კაცისთვის უდიდეს სირცხვილად ითვლება.

ბატონ გუბაზს რომ ჰკითხო, დიდი ქართველი და დიდი ვაჟკაცია, ამ დროს, რასაც ის აკეთებს, ისე შორს არის ქართველობისა და ვაჟკაცობისგან, როგორც საღორიის ტყე გობის უდაბნოსგან.

ადრე ქართველი კაცი, რომელსაც ღირსების გრძნობა გააჩნდა, ჭორაობას, ადამიანის მის ზურგს უკან გაკილვას და დაცინვას, სხვის ოჯახზე, იმ ოჯახის პირად საქმეებზე ენის ტარტარს როგორ იკადრებდა?

დავუშვათ და, უნებლიედ, რაღაც მიზეზების გამო, მსგავსი რამ რომ დამართოდა, სირცხვილისგან ხალხში როგორ გამოყოფდა თავს.

ბატონმა გუბაზმა უკადრებელი იკადრა და თავიც ისე არხეინად გამოყო ხალხშიც და ტელეეკრანებზეც, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

ბატონი გუბაზი წლების განმავლობაში ქართველებს არწმუნებდა, სამშობლოს გულდამწვარი ჭირისუფალი ვარ, დიდი პატრიოტი და დიდი მამულიშვილიო, მაგრამ ერთ-ერთი მორიგი ჭორაობისას წამოსცდა, რომ მილიონერობა უნდოდა და პოლიტიკაშიც ამიტომ ჩალიჩობდა.

— მილიანერი უნდა გავხდე, მილიანერიო, — მსუყედ და მადიანად ამბობდა გუბაზი და თან იმ კაცს ჭორავდა, ვინც პარლამენტში საკუთარი ზურგით შეიტანა და პარლამენტარის სავარძელში ჩადო.

ახლაც ამ კაცის იმედით აპირებდა მილიონების შოვნას, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მასზე და მის ოჯახზე „ეღადავა“.

— კაცია ადამიანი?! — იკითხავდა, ალბათ, ილია ჭავჭავაძე, ეს საუბარი რომ მოესმინა.

ილია და გუბაზი სხვადასხვა საუკუნეებში ცხოვრობდნენ და მწერალ ილიას, მოქალაქე გუბაზი სად უნდა ენახა, მაგრამ „კაცია-ადამიანის?!“ მთავარი გმირი ლუარსაბი და გუბაზი ასე ძალიან რომ ჰგვანან ერთმანეთს, ამის ახსნა როგორ და რანაირად შეიძლება?

— ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად პარტიას ვქმნი, რომ ბიძინა ივანიშვილი დავამარცხო. ივანიშვილი ჩემი ქვეყნის მტერია! — განაცხადა პოლიტიკოსმა სანიკიძემ.

რომელია თქვენი ქვეყანა, პატივცემულო სანიკიძე?

ალბათ, საქართველო არ არის, თორემ ბიძინა ივანიშვილს საქართველოსთვის კარგის მეტი არაფერი

გაუკეთებია და ქვეყნის მტერი რანაირად გამოდის?

სხვა ქვეყანა გაქვთ თქვენ, ალბათ, „ოქროსთან“ ერთად და იმას გულისხმობთ?

ყველაფერს რომ თავი დავანებოდ, ბიძინა ივანიშვილის დასამარცხებლად ირაკლი ოქრუაშვილს რომ შეეკვრება, იმ კაცს რა უნდა ელაპარაკო?

ეს ის ოქრუაშვილი არ არის, საკაშვილის მარჯვენა ხელი რომ იყო. მერე ერთმანეთში რაღაც-რაღაცები რომ ვერ გაიყვეს და მიშამ ერთი ღამით რომ უკრა თავი ვირის აბანოში, საიდანაც „გმირი“ და ვაჟკაცი ირაკლი ფეხსაცმლის საწშენდ ტილოსავით მომჩვარული რომ გამოვიდა და სულ ბოდიშები იხადა?

ერთი ღამე გაძლო მხოლოდ და დილით თხლესავით აიმღვრა და აიჭრა...

ამ ორ „ვაჟკაცს“ ერთი რამ ნამდვილად აქვთ საერთო — ორივე ნარცისია და საკუთარ თავზე ისე უზომოდ არიან შეყვარებული, ვერ ხვდებიან, რომ მათი პოლიტიკოსობა, მათი სახელი და ავტორიტეტი კარგა ხანია თოვლივით დადნა და გაქრა.

კაცი საკუთარ თავს რომ დაამარცხებს და ფეხქვეშ გათელავს, მერე ის სხვას ვერავის დაამარცხებს.

კარგად დაიმახსოვრეთ ეს, ბიძიკოებო და დიდხანს, დიდხანს იყურეთ სარკეში — იქნებ თქვენი ნამდვილი სახე დაინახოთ და მიხვდეთ, რას დაგამსგავსათ პოლიტიკამ...

უმადურობის სინდრომი

წერილი მერვე

ბატონო ბიძინა, ამას წინებზე ერთმა „მამულიშვილმა“ მომწერა: შენა, ძამია, ბიძინა ივანიშვილს რომ იცავ, იცოდე, ერთ დღესაც მშიერი ხალხი იხუვლებს და მასთან ერთად წაგლეკავს, თუ ვინმე გამოგარჩევს, ძალიან ცდებიო!

მე მას უმალვე ვაცნობე, რომ უკვე დამსაჯა „მშიერმა“ ხალხმა – აგერ, იხუვლეს თბილისის ქუჩებში, საქართველოს გზებზე, გზაჯვარედინებზე, ავტობანებზე მანქანებით და აღარ მატარებენ, ნერვებს მიშლიან. თუ როგორმე მოვახერხე და გავიარე, შოკში მაგდებენ – ზოგი მარჯვნიდან მიხტება ისე, ციმციმას არ მინთებს, ზოგიც – მარცხნიდან. უკნიდან რომ მიპიპინებენ წამდაუწუმ, მაგაზე აღარაფერს ვამბობ. საქართველოში დაახლოებით ორი მილიონი ავტომობილი მოძრაობს... ესე იგი, ზერელედაც რომ ვიანგარიშოთ, თითოეულ „მშიერ“ ოჯახზე მოდის ორი ავტომობილი. ვინაიდან „მშიერი“ მოსახლეობის დიდი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი, ფაქტია, ამ ქვაბივით ტერიტორიაზე ვეღარ ვეტევით – მხოლოდ მანქანით კი არა, ფეხით სიარულიც სახიფათოა. მიუხედავად იმისა, რომ („ცრუსთავი 2“-ისა და „ჭუტა პირველის“ მტკიცებით) დღეს ქვეყანაში მასობრივი შიმშილი და უმუშევრობაა, ყველას სადღაც ეჩქარება, თუ წითელ შუქნიშანზე ოდნავ მაინც შეყოვნდი, შეიძლება მანქანიდან გადმოგიღონ და ერთი გემრიელად მიგჭირხვნონ. ღმერთმანი, ამ წუთამდე ვერ გავარკვიე, თუ ქვეყანაში არავინ მუშაობს და მასობრივი შიმშილია, მაშინ ეს ხალხი ვინ არი, ამდენი ადამიანი საიდან გაჩნდა ქუჩაში? რას დადიან, რისთვის დადიან, რა მიაქვთ, რა მოაქვთ, უცხოპლანეტელები არიან და უბრალოდ კატაობენ?!

ბატონო ბიძინა, თქვენ გგონიათ, „მშიერი“ ადამიანები მხოლოდ ქუჩაში და რესტორანში არ მიშვებენ? არა, ამათ ისეთი რაღაცები მოიფიქრეს, გაოგნებული ვარ. აი, როგორც ყველა მამულიშვილს, მეც მაქვს ბაღ-ბოსტანი კახეთში, როგორც კი თავისუფალი დრო გამომიჩნდება, ეგრევე გავრბივარ, რომ რაღაც დავთესო, დავრგო, გავთოხნო, დავბარო და ასე შემდეგ. არის პერიოდი, როცა ამდენ საქმეს ვეღარ ავუდივარ და ერთიორი მუშა მჭირდება გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. თქვენც არ მომიკვდეთ, მუშას ვერ ვპოულობ, ყველა რაღაცას იმიზეზებს, ესაო, ისაო, არ მცალიაო, აქ მივდივარო, იქ მივდივარო... შარშან ერთი ხის მოჭრა ძალიან ძვირი დამიჯდა, ერთმა ყალთაბანდმა ლამის ახალი „დრუჟბა“ მაყიდინა და საქმე ბოლომდე მაინც არ მიიყვანა. ახლა გამიშვი, ხვალ მოვალ და გავაგრძელებო. საერთოდ დაიკარგა. მოკლედ, ამ „მშიერმა“ ხალხმა იხუვლა, რაღაცა მოილაპარაკა და აეგრე მტანჯავენ. სხვათა შორის, პოლიტოლოგი როა, სოსო ცინცაძე, ეგეც ჩემ დღეში ყოფილა. ამას წინებზე დამირეკა – ბიჭო, გაგიჟებული ვარ, ბაზალეთში აგარაკი რო მაქ, ხო იციო? ვიცი-მეთქი. ავიღლი ბირჟაზე, ზის ოცი სული, გამაჩერებენ, სოსო ძია, ერთი ხუთი ლარი მოგვეცი, „პივა“ უნდა ვიყიდოთო. ვაძლევ და თან ვეუბნები, ბიჭებო, წამოდით, ბაღში სამუშაო მაქ, რასაც იტყვით, გადაგიხდით-მეთქი. მაიცა, რააა, სოსო ძია, რა დროს ეგ არი, ბიჭები პურის ჭამას ვაპირებთო. ჰოდა, მეც ვიძლევი, ბატონო ბიძინა, რასაც დამიფასებენ, მაგრამ არ მოდიან, მთელი დღე ბირჟაზე ყრიან და რაღაცას თამაშობენ, არ ვიცი, ჯოკერია, სეკაა თუ დომინო. თან თვალები აქვთ დასიებულ-ჩასისხლიანებული, მე მგონი, პაპიროზსაც შლიან და აწყობენ. ერთი კვირის წინ ბოდბისხევის ბაზარში ვიყავი, პომიდვრის ჩითილი ვიყიდე. დახლებს ჩავუარე, კიტრი და პომიდორი დავაფასბინე, პირველი 2 ლარი ღირდა, მეორე – 3 ლარი. ყველა გამყიდველს ვკითხე, სადაურია-მეთქი? მარნეულისააო. წარმოგიდგენიათ? კახეთში, ივნისის პირზე, მარნეულის პომიდორი ღირს 3 ლარი, ფეხს არ უცვლიან! არადა, ერთ დროს მთელი კახეთი მიჰქონდა ლაგოდეხში მოყვანილ პროდუქციას, კილო ათი შაური იყო. რა მოხდა, სად გაქრა, რატომ შეიქმნა დეფიციტი? მე რამდენიმე ვერსია მაქვს: პირველი – ვინაიდან, „მშიერმა“ ხალხმა გადაწყვიტა, მე და თქვენ დაგვსაჯონ, ანუ კიტრისა და პომიდვრის გარეშე დაგვტოვონ, აიყარნენ და თბილისში გამოიქცნენ, აეგრე გიზამთ თქვენაო; კინაღამ გული გამისკდა, ბოდბისხევის ბაზარი ასეთი ღარიბი და ძვირი არასოდეს მინახავს, მწვანილიც კი მარნეულიდან შემოტანილი იყიდება. ისე, კაცი სოფელში რომ ცხოვრობს და მწვანილს (სხვა ბოსტნეულზე აღარაფერს ვამბობ) ბაზარში ყიდულობს, კი უნდა გაიგდო წიხლქვეშ. სხვათა შორის, ერთმა ჩემმა სოფლელმა ახლობელმა ადრეულ გაზაფხულზე ბატკანი დაკლა, ჩაქაფული უყვარს ძალიან და მეც დამპატიჟა. ბატკანი კი იშოვა 300 ლარად, მაგრამ მთელ რაიონში ტარხუნა არ აღმოაჩნდა არავის.

ვააა... გადაირია კაცი, გადავირიე მეც. ბოლოს მოიფიქრა, თბილისში მიმავალ „მარშრუტკის“ მძღოლს დავაბარებ, ნავთლუღში იქნება, ჩამომიტანსო. დააბარა. გაუმართლა, სამი თხელი კონა ჩამოუტანა 15 ლარად. კიდევ კარგი, ქილაში ჩადებული ტყემალი ვიშოვეთ, თორემ რა გვეშველებოდა, არ ვიცი. ამ ჩემ ახლობელს ვეუბნები, შე ასეთო და ისეთო, ამხელა მიწა გაქვს, დათესე ეს ტარხუნაა თუ ნიახური, გადააფარე ცელოფანი და გექნება-მეთქი. პასუხი არ გაინტერესებთ? მაიცა, რააა, არც ეგრეა, შენ რო ლაპარაკობო. რავი, აბა, დავიჯერო, არანორმალურად ვლაპარაკობ? ბოლო დროს ხშირად ვხედავ სოფელში მაცხოვრებლებს, რომლებიც დილაუთენია აიღებენ ხოლმე „პრავიზონკებს“ და კვირა დღეს მიდიან ბოდბისხევის ბაზარში ბოსტნეულის საყიდლად. ამ დროს გადახედავ მათ ნაკვეთებს და აბალახებულია. აქ ბუნებრივად ჩნდება შეკითხვა: თუ ადამიანი ზარმაცია, მაშ როგორღა მიდის ბაზარში, სადღა აქვს საიმისო ფული, რომ ბოსტნეული იყიდოს? ჯერ ერთი, იმდენს ვერაფერს ყიდულობენ, ფაქტობრივად ცოდვილობენ და მეორეც – იქით პენსიაა, ზოგი მშობლების პენსიაზე ზის, აქეთ სოციალური დახმარებაა – ბევრი არ მუშაობს, ემანდ არ მომიხსნანო და ქე გადის ცხოვრება წუწუნ-ვაებაში. ვიცი, ამას რომ ვწერ, აქეთ გამომიჩნდებიან მაგინებლები, აზერბაიჯანელებს აქებ და ქართველებს კიდევ აძაგებო. სწორედ ასე იყო, როცა ჯონი ვურდემანი შევაქე და ქართველები გავკიცხე. ეს კაცი 1990იან წლებში ჩამოვიდა, ქართველი გოგო შეირთო, სოფელ ტიბაანის მიმდებარედ ნაგავსაყრელი გაწმინდა, ვაზი გააშენა (ახლაც აშენებს), ხეხილი დარგო, ღვინის მარანი მოაწყო, ტურისტებისთვის სპეციალური დარბაზიც გამართა, ერთი დღე არ ისვენებს, ხნავს და თესავს, თან შვილებსაც ზრდის ქართულად. მისაყვედურეს, ვიღაც ამერიკელს აქებ და ჩვენ კიდე გვლანძღავო. მე არავის ვლანძღავ, ამათ კრიტიკა და ლანძღვა ეშლებათ ერთმანეთში. სიმართლე გითხრათ, ამ შრომისმოყვარე ამერიკელის ძალიან მშურს (ოღონდ თეთრი შურით), ხოლო როცა მისი დავარცხნილი მიდამოს ფონზე ვხედავ გადაჭყლეტილ ღობეებს, მინგრეულ ჭიშკრებს, უპატრონობისგან ჩამოჟამულ სახლებს, აბალახებულ ეზოებსა და დაუმუშავებელ ნაკვეთებს, სული მიმწარდება. კარგად გამიგეთ, განა გაჭირვება არ არის? განა ბევრს არ სჭირდება დახმარება და ხელის გამართვა? ვისაც გული ერჩის, იმასაც უნდა შეშველება, მაგრამ ამ შემთხვევაში მე ისეთებზე ვლაპარაკობ, ვინც მთავარ პროფესიად ნაცრის ქექვა გაიხადა და ყოველდღე თქვენ გელოდებათ, უნდა მოვიდეს, ვალდებულია, ყველაფერი გამიკეთოსო... თუ არ მოვა, შევაგინებ და „ქართულ ოცნებას“ ხმას აღარ მივცემო. სანამ თქვენ მოხვიდოდით პოლიტიკაში, ესენი სტალინს ელოდებოდნენ, სადაცაა წამოდგება საფლავიდან, ყველას დაიჭერს, დასახვრეტებს დახვრეტს და იმათ ქონებას ჩვენ გაგვინაწილებსო.

და ბოლოს... მადლობა მინდა გითხრათ, რომ წინა წერილში რაც გთხოვეთ, გაითვალისწინეთ. დიახ, ფსიქიატრიულის აშენებაზე მოგახსენებთ. მე გითხარით, ერთი გვჭირდება, რათა „ნაციონალებმა“ და მათთან გათანაბრებულმა პირებმა იქ საკუთარი სახელმწიფო მოაწყონ-მეთქი, ჯანდაცვის სამინისტრომ კი გამოაცხადა, ორი აშენდებაო. პრინციპში, მე მომერიდა, თორემ ორი ნამდვილად არის საჭირო, თუ „ნაციონალები“ თავიანთი სახელმწიფოდან განაწყენებულებს, ან დაპირისპირებულებს გამოყრიან, ქუჩაში ხომ არ დავტოვებთ? მოკლედ, დიდი მადლობა, გაიხარეთ და გამრავლდით. გემშვიდობებით მომავალ წერილამდე.

პატივისცემით,
გელა ზედელაშვილი

ზელენსკიმ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა დაუბრუნა, რაც იმას ნიშნავს, რომ მიშას საქართველოში ვერავინ დააბრუნებს

გვესაუბრება „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი:

— ქალბატონო ნანა, სააკაშვილი უკრაინაში დაბრუნდა. რას იტყვით ამ ფაქტის შესახებ?

— ყურადღება არავინ მიაქცია იმას, რომ სააკაშვილს ზელენსკიმ მოქალაქეობა დაუბრუნა. ეს კი ნიშნავს, რომ მიშას გადმოცემაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან უკრაინა საკუთარი ქვეყნის მოქალაქეს არავინ გადასცემს. სწორედ ეს იყო სააკაშვილისთვის მთავარი.

ჩემი აზრით, სააკაშვილის უკრაინის ხელისუფლებაში მოსვლა საფრთხეს ვერ შეგვიქმნის. ერთადერთი ვისაც იგი საფრთხეს შეუქმნის, ეს არის უკრაინის პოლიტიკური კლასი. ჩვენ ვიცით, სააკაშვილს როგორი აგრესიული და ავანტიურისტული სვლები ახასიათებს. პირველ რიგში, ეს არის საფრთხე უკრაინისთვის. საქართველოს, მსგავსი რამ, არ ემუქრება.

ახლა, დავსვათ კითხვა: ვისი ინტერესების გამტარებელია? — იგი შეეკვრება ნებისმიერს, თუ ეს მას პოლიტიკური მიზნების განხორციელებაში დაეხმარება. მისთვის, ამ მიმართულებით, ტაბუ არ არსებობს. ამდენად, იგი იმ დაკვეთას შეასრულებს, რაც გარკვეულ ეტაპზე მის ინტერესებს დაემთხვევა. ვისგან რა დავალება აქვს სააკაშვილს, ვის რა გაუკეთა თავის დროზე, რის გამოც ვიღაც მხარს უჭერს, ამაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. რა თქმა უნდა, არაფასადურ პოლიტიკაში ეს კავშირები და ურთიერთობები ძალიან სერიოზულ როლს თამაშობს. ანუ, ფასადს მიღმა რაც ხდება, ყველაფერი ამაზეა დამოკიდებული.

— დაიწყო საუბარი იმაზე, რომ სააკაშვილის უკრაინაში დაბრუნებამ ჩვენი ხელისუფლება ძალიან შეაშინა. ეს მართლაც ასეა?

— არა, სააკაშვილის მიმართ შიში ნამდვილად არ არის. შიში არის სულ სხვა რაღაცის მიმართ — იმის გამო, რომ თავად გუნდში არის განხეთქილება, გარკვეული ჯგუფების ინტერესები წინა პლანზე წამოსული, რითაც დანარჩენები უკმაყოფილონი არიან და ვფიქრობ, არც თავად ბიძინა ივანიშვილია ამ ყველაფრით მოხიბლული. ამას ემატება ისიც, რომ ტრადიციულად, მმართველი ძალა ორი ვადით არის-ხოლმე ხელისუფლებაში და მერე, მას წასვლა უწევს. „ქართული ოცნებიდან“ გასული დეპუტატები ერთიანდებიან, იქმნება ახალი პოლიტიკური ძალა, რასაც ემატება უკვე არსებული პარტიები, რომლებიც მრავლად არიან. ასე, რომ ზაფხული აქაც ცხელი იქნება და შემოდგომაზე ვიხილავთ — ვინ ვისთან და როგორ დაჯგუფდება. ხშირად ისმის მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, რომ „ქართული ოცნება“, ამ კრიტიკული მდგომარეობის გამო, ვადამდელი არჩევნების დანიშვნას აპირებს. ამ თეორიის მომხრეები ამბობენ, რომ „ქართული ოცნება“ ცდილობს ვინაიდან დინამიკაში რეიტინგის ვარდნა აქვს, არჩევნების ჩატარება მოასწრონ.

— რაც სააკაშვილის დაბრუნების საკითხი აქტუალური გახდა, ასევე, გააქტიურდა თემა — უნდა შედგეს თუ არა ქართული ნიურნბერგის პროცესი?

— რაღა დროს ნიურნბერგია. გერმანიამ 1945 წელს კაპიტულაცია გამოაცხადა. წარმოიდგინეთ, ნაცისტები რომ დარჩენილიყვნენ ხელისუფლებაში და 1952 წელს რომ დაეწყო ვიღაცას ლაპარაკი — უი, ესენი ხომ არ გაგვესამართლებინაო. ასეა ჩვენი მდგომარეობა — 7 წელი გავიდა. ახლა უნდა იყოს ამაზე საუბარი თუ ეს პროცესი დიდი ხნის დამთავრებული უნდა იყოს?!

„ნაცები“ გაიძახოდნენ: რაღაც შეცდომები დავუშვითო. ადამიანების სიცოცხლის ხელყოფას თუ შეცდომა ჰქვია, მაშინ დანაშაული რაღა არის, არ ვიცი. აღარაფერს ვამბობ ქონების წართმევასა და ყაჩაღობაზე. „ქართულ ოცნებას“ ასეთი დისკრედიტირებული ოპოზიცია ურჩევნია ძლიერ, რეალურ ოპოზიციას.

— რამდენად რეალურია, უახლოეს ხანებში საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება?

— ვნახოთ, როგორი მითებით და ლეგენდებით საზრდოობს ჩვენი პოლიტიკური კლასი. მაგალითად, გაიძახიან: ევროპულ ოჯახში უნდა დავბრუნდეთო. დაბრუნება, მე, ასე მესმის: სადღაც რომ წავალ და მერე უკან დავბრუნდები, იქ, სადაც ვიყავი. ჩვენ, არასოდეს ვყოფილვართ ევროპაში, არამედ ვართ ცივილიზაციების გზაჯვარედინზე. საერთოდ, ჩვენ ვართ პირველი ევროპელები. ერთი მითხარით: სად უნდა დავბრუნდეთ? როცა ახლო აღმოსავლეთში ცივილიზაციათა აკვანი იქმნებოდა, რაზეც დღეს კაცობრიობა დგას, მაშინ ევროპაში სიღატაკე და უბედურება იყო. ჩაიხედონ ისტორიაში. როგორც კი ევროპულმა ქვეყნებმა დაპყრობითი ომები დაიწყეს, კოლონიები შეიძინეს და ისინი ძარცვეს, სული მერე მოითქვეს. თორემ, საფრანგეთის მეფეებს ოცნებად ჰქონდათ ფრანგ გლეხს კვირაში ერთხელ ხორცი ან ქათამი ეჭამა. ამის მერე მოიდგეს სული. ანუ, მთელი აფრიკის კონტინენტი, შორეული აღმოსავლეთი და ა.შ. გაძარცვეს. ახლა რაც ხდება ეს არის სრულიად ლოგიკური პროცესი. 2001 წელს სამხრეთ-აფრიკაში გაეროს ეგიდით მსოფლიო კონფერენცია ჩატარდა. აფრიკული სახელმწიფოს ლიდერები სათითაოდ დგებოდნენ და პირდაპირ პასუხს სთხოვდნენ აშშ-ს და ევროპის სახელმწიფოებს: თქვენ, ჩვენგან გაზიდული სიმდიდრით და აქედან წაყვანილი მონებით აშენდით. კეთილი ინებეთ და ეს მონები დააბრუნეთო. მათ არ დაბრუნეს. შედეგად, ახლა, მიგრანტები ჩადიან იქ, ადგილზე ითხოვენ ყველაფერს, რასაც თვლიან რომ მათი ძარცვითაა მოპოვებული. ეს აუცილებლად რომ გამოიწვევდა კონსერვატორული აზრის წინ წამოწევას, ამას დიდი ანგარიში არ უნდოდა. ევროპელები ადამიანის უფლებებზე წერდნენ თავისთვის — ევროპელებისთვის. ზანგები, აზიელები ყველანი ნახევრად, ანდა სულაც არ მიაჩნდათ ადამიანებად. თვალს ნუ დავიბრმავებთ და ნუ წავყვებით ამ კლიშეებს ევროპულ ცივილიზაციაში უნდა დავბრუნდეთო. სად უნდა დაბრუნდე?! ევროპაში არცერთ სახელმწიფოს არ აქვს ისეთი სიძველის ცივილიზაცია როგორც საქართველოს. ეს უნდა შეინარჩუნო და განავითარო, ოღონდ, წარსულში არ უნდა ჩარჩე და არც ვიღაცის წამხედურობით აკეთო რამე. ამას ემატება ის, რომ ევროპაში ძალიან სერიოზული დეპოპულაციის პროცესი მიდის. ევროპელები არ მრავლდებიან. ევროპულ სახელმწიფოებში მატებაა მიგრანტების ხარჯზე. 20 წლის წინაც საგრძნობი იყო თუ როგორი შეცვლილი იყო დემოკრატიული ლანდშტაფი. ამ ყველაფრის გადაფასება უნდა მოხდეს, მათ შორის, იდეოლოგიური აზრის. ბაბილონის გოდოლის მერე არ ყოფილა ასეთი სერიოზული მიგრაცია და გადასახლება. იმ წესებით ცხოვრება აღარ გამოვა, ახალია მოსაფიქრებელი. დააკვირდით ევროპის სახელმწიფოების რამდენი ლიდერია, ვისაც ბავშვი არ ჰყავს? — უამრავი. შენი შვილისთვის თუ არ გინდა ქვეყანა, ჩემს შვილებზე იფიქრებ?! ეს სერიოზული მაჩვენებელია. ავიღოთ, რომის, ბიზანტიის იმპერიების დაცემა — არავითარი თვალხილული მიზეზები იქ, არ ყოფილა. იქაც ასე მოხდა— დეპოპულაცია დაიწყო.

სამწუხაროდ, დეზინტეგრაციული პროცესები დაწყებულია. ისე ახსენებენ ევროკავშირს, რომ მთავარი აზრი იკარგება. ევროკავშირში შედის ქვეყნები, რომელთაც პირველივე დღიდან დააფუძნეს იგი და მერე მიმატებულია სახელმწიფოები ყოფილი სოციალისტური ბანაკიდან. იქაც, ძალიან უკმაყოფილონი არიან ჯერ ერთი იმით, თუ რატომ უნდა არჩინონ ახალი წევრები, რომელთაც ეკონომიკური მდგომარეობა სულც არ აქვთ სახარბიელო. რამდენი უნდა შეინახოს ამ ევროკავშირმა და მისმა მდიდარმა წევრებმა? რამდენიმე წლის წინ საბერძნეთის კრიზისის დროს, გერმანიამ მილიარდობით ევრო გამოყო, მაგრამ ეს პრობლემა ვერ ჩაწყნარდა იმიტომ, რომ მარტივი რამ მოხდა — ეს მილიარდები საბერძნეთის ეკონომიკაში არ წასულა. აღმოჩნდა, რომ ფაქტობრივად, გერმანიამ ეს მილიარდები თავის ბანკირებს მისცა. ასეთი კრიზისია. ამას ემატება ის, რომ ხშირად გაისმის კითხვა: — ჩვენი ხელისუფლებები, მთავრობები ავირჩიეთ, მათ ვალდებულებების შესრულებაზე ვთხოვთ პასუხს, მაგრამ ბრიუსელში ბიუროკრატების მთელი არმია რომ ზის, ისინი ხომ არავის აურჩევიაო. არადა, სწორედ ისინი წყვეტენ: ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა რა პოლიტიკა უნდა გაატარონ. ესეც სერიოზული პრობლემაა. ევროკავშირის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში ვერ ვხედავ, რომ საქართველო შეიძლება მისი სრულუფლებიანი წევრი გახდეს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ოლიგარქების ომი

შეასრულებს თუ არა ვლადიმერ ზელენსკი ამერიკელების დავალებას და დაიჭერს თუ არა მის პატრონს მიხეილ კალამოისკის?

უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ პირველ საკადრო გადაწყვეტილებებს ხელი მოაწერა. პრეზიდენტმა ახალი კადრები, პირველ რიგში, საკუთარ ადმინისტრაციაში, უსაფრთხოების სამსახურსა და შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში დანიშნა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ანდრეი ბოგდანის დანიშვნამ უკმაყოფილება გამოიწვია და მისი გადაყენების მოთხოვნით შექმნილმა პეტიციამ საჭირო რაოდენობის ხმები დააგროვა, ქვეყნის პრეზიდენტს კი ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში პეტიციის განხილვის ვალდებულება დაეკისრა. 2010 წლამდე ანდრეი ბოგდანი იულია ტიმოშენკოს მთავრობაში იუსტიციის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა, შემდეგ კი ნიკოლაი აზაროვის მთავრობაში ანტიკორუფციულ პოლიტიკაში მთავრობის უფლებამოსილ პირად. ხელისუფლებიდან ვიქტორ იანუკოვიჩის წასვლის

შემდეგ ბოგდანი დნეპროპეტროვსკის საოლქო ადმინისტრაციაში მუშაობდა და ბიზნესმენ იგორ კოლომოისკის პირადი იურისტი გახლდათ. 2014 წელს მიღებული „ხელისუფლების წმენდის შესახებ“ კანონის თანახმად, იანუკოვიჩის მმართველობის პერიოდში ჩინოვნიკებს სახელმწიფო თანამდებობების დაკავება ეკრძალებათ. თუმცა, უკრაინის „ხუმარა“ პრეზიდენტისთვის და ახალდანიშნული „იუმორით სავსე“ გარემოცვისთვის კანონს ეტყობა არც ისე დიდი ძალა აქვს! როგორც ირკვევა უკრაინის ახალი პრეზიდენტის საკადრო გადაწყვეტილებით და გარემოცვით აშშ ს ჩინოვნიკებიც „აღშფოთებულან“. ზელენსკის გარემოცვით უკმაყოფილო დონალდ ტრამპის ადვოკატმა რუდი ჯულიანმა, რომელიც აპირებდა უკრაინაში ჩასვლას, ბოლო მომენტში უარი განაცხადა. მიზეზად ჯულიანი იმ ფაქტს ასახელებს, რომ „ვერ ექნება კონტაქტი ადამიანებთან, რომლებიც აშშ-ს მტრები არიან“... „არსებობდა დიდი საფრთხე, რომ უკრაინის ახალი პრეზიდენტი დონალდ ტრამპის მტრებს შემოიკრებდა. ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან ძალიან სანდო, ორი ადამიანისგან მოვისმინე, რომ პრეზიდენტ ტრამპის მტრები აშკარა კორუფციაში არიან ჩართულნი“, მისივე თქმით, საუბარია ადამიანებზე, რომლებიც 2016 წლის არჩევნებთან დაკავშირებული გამოძიების დროს „დემოკრატების“ მხარეს იდგნენ. ჯულიანი ნიუ-იორკის ყოფილი, „რესპუბლიკელი“ მერია.

მანამდე იგი უკრაინაში ჩასვლას და ხელმძღვანელობასთან რამდენიმე საკითხზე საუბარს აპირებდა. მისივე განმარტებით, ეს ის საკითხებია, რომლებიც შესაძლოა, ტრამპისთვის ძალიან სასარგებლო გამომდგარიყო. საქმე ეხება გამოძიების ეჭვებს, რომ დემოკრატები და ჰილარი კლინტონის კამპანიის ორგანიზატორები უკრაინელებთან მუშაობდნენ, მიზანი კი ტრამპის საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელის პოლ მანაფორტის შესახებ დამაზიანებელი ინფორმაციის გამოაშკარავება იყო. მანაფორტის წინააღმდეგ საქმე აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევის შესახებ დაწყებული გამოძიების ფარგლებში აღიძრა. ბრალდება ეხება მის მუშაობას უკრაინული პარტიისთვის, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი იყო. კერძოდ, საუბარია უკანონო ლობისტურ საქმიანობაზე და შემოსავლების დამალვის მცდელობაზე, რომელიც მან პოლიტიკური კონსულტაციებისთვის მიიღო. ტრამპის ადვოკატმა მოითხოვა ზელენსკისაგან, დააპატიმროს იგორ კალამოისკი. მან, ტვიტერის საშუალებით, უკვე მეორედ მიმართა უკრაინის ახალ არჩეულ პრეზიდენტს, რომ დროა უკვე მან დააპატიმროს ოლიგარქი კალამოისკი რომელმაც უკრაინელ-ამერიკელი ბიზნესმენები ლევ პარნასი და იგორ ფრუმანი შეავიწროვა კერძოდ-სიცოცხლის ხელყოფით დაემუქრა. კალამოისკიმ მათ თაღლითები უწოდა და მათი საქმიანობის გაშიფვრას დაპირდა საზოგადოებას. მედიის საშუალებით ჯულიანმა მოღხოვა ზელენსკის — ნუ დაიყენებდა გვერდით კრიმინალ ოლიგარქებს და შეახსენა, რომ კალამოისკიმ ბოგოლუბოვთან ერთად „პრივატბანკი“-დან ხუთმილიარდ დოლარზე მეტი მიითვისა... აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „პრივატ ბანკის“ ნაციონალიზაციის კანონიერების საკითხი სწორედ ერთი თვეა აქტუალური გახდა. უკრაინული „წყაროს“ ცნობით კალამოისკი ან ბანკს დაიბრუნებს ან ორ მილიარდ დოლარს და სავარაუდოდ იმ აქტივებისთვისაც დაიწყებს ბრძოლას რომელიც პოროშენკოს ზეობის პერიოდში „გაუპასივდა“. შესაბამისად შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ, მომავალი ურთიერთობები ტრამპის ადმინისტრაციისა, ზელინსკის გარემოცვასთან არც ისე სასიამოვნო მომავალს უნდა გვიხატავდეს. ჯულიენის მოსაზრებით, ზელენსკიმ უკვე დაუშვა შეცდომა რადგან მის ირგვლივ უცაბედად აღმოჩნდნენ ადამიანები რომლებიც ტრამპის და ზოგადად აშშ-ს მტრები არიან. აღნიშნულის შესახებ მან ტელევიზიით განაცხადა, მას შემდეგ რაც ზელენსკის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა ეთანამშრომლა ჯულიენთან, ტრამპის კონკურენტის — ექსპრეზიდენტის ჯო ბაიდენის საქმესთან დაკავშირებით. ბაიდენის შვილის საქმეები მოიძია ჯულიენმა, რომელიც უკრაინაში არამარტო კორუფციულ სკანდალებს ეხება, ასევე ამერიკის 2016 წლის არჩევნებსაც. ადვოკატი ამტკიცებს რომ, ბაიდენის შვილი კომპრომატების საშუალებით ზემოქმედებას ახორციელებდა არჩევნების შედეგებზე. კერძოდ ტრამპის პოლიტტექნოლოგის, პოლ მანაფორტის შანტაჟის მეშვეობით. უკრაინის მთავარი მილიარდელი და ოლიგარქი იგორ კოლომოისკი, შეერთებული შტატების ფედერალური ბიუროს საგამოძიებო სამსახურის, მიერ ძებნილთა სიაშია. თუმცა უკრაინაში არ იძებნებოდა. (სამაგიეროდ იძებნება რუსეთშიც)იგი ორი წლის შემდეგ დაბრუნდა უკრაინაში ისრაელიდან. ჩამოსვლისთანავე მან დაიწყო შტატების მოქალაქეების შევიწროება, მუქარები, შანტაჟი. „ეს რეალური გამოწვევა ტესტია პრეზიდენტისთვის”, „შესძლებს კი ის გაუმკლავდეს ამას და დააპატიმროს იგორ კოლომოისკი?“ წერს ჯულიანი საკუთარ ტვიტერზე. საინტერესოა პრეზიდენტი ზელენსკი დააკმაყოფილებს თუ არა ჯულიანოს მოთხოვნებს. უკრაინის ნომერ პირველი ოლიგარქი, რომ დააპატიმროს ამისთვის ის რეალურად დამოუკიდებელი ფიგურა უნდა იყოს. შეიძლება პოლიტტექნოლოგიაში ეს ცოტა უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ საქმე ეხება ტრამპის პირად ადვოკატს, რომელიც მხოლოდ ჯოკერის ჯოკერით თამაშობს. ის მუდმივ კარიერულ პროცესშია. საქმე იმაშია რომ, ჯულიანო მთლად ადვოკატი არაა. ის შტატების ყოფილი გენერალური პროკურორია, რომელმაც არაერთ მაფიოზურ კლანს მოუგრიხა კისერი. ასევე, ის ყოფილი ნიუ იორკის მერია. ჯულიენის ბიოგრაფიას თუ გადავავლებთ თვალს ძნელი მისახვედრი არ არის, რომ კოლომოისკისთან დაკავშირებით ის უკან დახევას არ აპირებს და თუ, ზელენსკი ვერ „გაიმეტებს“ გასაწირად „პატრონ“ ოლიგარქს მაშინ ჯულიენი ჯერ „სუპერსაშიშ“ (როგორც თვითონ უწოდებს) კალამოისკის „მოუვლის“ და შემდეგ დესერტად პრეზიდენტს. მიუხედავად იმისა რომ ოლიგარქი კალამოისკი, საჯაროდ დემონსტრირებს თავდაჯერებული, რომ ფედერალური ბიუროს გამოძიება, რომელზედაც ჯულიანი საუბრობს, დამთავრდება არაფრით, სინამდვილეში არც ისე მარტივადაა საქმე. ჯულიენს ბევრი მეგობრები ჰყავს ფედერალურ ბიუროში. თუ კი შეუძლებელი გახდა კოლომოისკის შევიწროება შტატებში, ჩადენილი საქმეების საფუძველზე, ძალოვნებს თავისუფლად შეუძლიათ ჩათვალონ, რომ დანაშაულებები მოხდა შტატებს საზღვრებს მიღმა, რომელიც მიიჩნევა ამერიკულ იურისდიქციად და ასეთ აქტები მათი მხრიდან არაერთხელ შესრულებულა და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, ფედერალური ბიურო ეს არც სახელმწიფო დეპარტამენტია და არც სიაი, სადაც ტრამპის ადმინისტრაციის ურთიერთობები ლავირებენ ცივ და მტრულ გარემოებებში. თამამად შეიძლება ითქვას რომ ფედერალური ბიურო ზუსტად რომ „ტრამპის მეგობართა კლუბია”, ან როგორც ბრიტანული გარდიანი წერდა: „ფედერალური ბიურო-ტრამპლანდიაა“ ამერიკის ძალოვნების მოსაზრებით, კალომოისკი რომელსაც არ უნდა „ჩაუშვას“ ბაიდენი, რომელიც მუშაობდა კლინტონის კლანის მხარეს, თავისუფლად შეუძ-

ლიათ, ჩათვალონ კატეგორიაში, როგორც „ნაციონალურ უსაფრთხოებაზე თავდასხმად“. ასეთ მუქარებს ისინი უხეშად პასუხობენ, ხშირ შემთხვევაში „თეთრი ხელთათმანების“ გარეშე. სხვათაშორის კალამოისკის და მიხეილ სააკაშვილს ისევ ტკბილი და მურაბა ურთიერთობა აქვთ. არადა „მაღალი“ როცა ოდესის გუბერნატორი იყო ოლიგარქს მექრთამე, კრიმინალი უწოდა. ამბობენ, რომ სწორედ იმ კოლომოისკიმ დააბრუნა საკაშვილი უკრაინაში, რომელიც მიშიკოს “წვინტლიან ნარკომანსა“ და “უპაკალიკო ძაღლს“ ეძახდა და „პატრონის“ დასჯითაც ემუქრებოდა, წლების წინ მან ინტერვიუში გაიხსენა, რომ 2011 წელს ისინი ხორვატიაში ერთადაც ისვენებდნენ.“საკაშვილი ხორვატიაში თავის საყვარელ, დიდმკერდიან ეკონომიკის მინისტრთან ერთად იყო“მისივე თქმით, მან საკაშვილს საქართველოში არჩევნებისთვის ფულიც მისცა. პოროშენკოს სიძულვილმა „ბიჭები“ ისევ გააერთიანა და სხვადასხვა ქვეყნებში არცთუ იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს საერთო მტრის „გასანეიტრალებლად“ და უკრაინაში ძალაუფლების სადავეების ხელში ჩასაგდებად. ერთ-ერთი შეხვედრა შარშან ზაფხულში პოლონეთში შედგა სადაც საკაშვილი, კალამოისკი და ტიმოშენკო შეხვდნენ და გადაწყვიტეს, ტიმოშენკოს პრეზიდენტობაზე ეყარა კენჭი, ხოლო საკაშვილი პრემიერ-მინისტრი უნდა გამხდარიყო. კალამოისკის ტიმოშენკოს რეიტინგი რატომღაც ეცოტავა და კიდევ სხვა მიზეზთა გამო თამაშში ზელენსკი შემოიყვანა... მოქალაქეობა დაბრუნებულ მიხეილს, კიევში კალამოისკი შეხვდა, რა დავალება და პირობა მიიღო „მაღალმა“ სავარაუდოდ გაირკვევა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიხეილის ბიძა და მისი მეუღლე ტრამპს არ „წყალობენ“ და სოციალურ ქსელშიც არ ერიდებიან მასზე აუგის თქმას... ანუ, უკრაინაში ტრამპის მოწინააღმდეგეთა „კრიმინალური კოალიცია“ იკვრება და რით დამთავრდება ძნელი წარმოსადგენი არ არის. აღსანიშნავია, ოლიგარქ იგორ კალამოისკის მიერ ბოლო დროს, არაერთხელ გაჟღერებული მოწოდება, რომ შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა უკრაინას მთლიანად უნდა ჩამოუწეროს სახელმწიფო ვალი რუსეთთან ბრძოლის საკომპენსაციოდ. მან უკრაინელ ხალხს მოუწოდა მიბაძონ საბერძნეთს და გამოაცხადონ დეფოლტი. როგორ განვითარდება მოვლენები და რა ელის უკრაინას ზამთარში ძნელი სათქმელია. აშშ უკრაინას რეფორმებს, და რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს დაპირდა, აშშ ს ენერგეტიკის მინისტრი, რომელიც ზელინსკის ინაგურაციას ესწრებოდა განაცხადა, რომ სანქციით შეაჩერებდა ამერიკის სენატი პროექტს “ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ს. რომელიც ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიწოდებას ითვალისწინებს უკრაინის გვერდის ავლით, აღნიშნული პროექტის განხორციელება უკრაინისთვის გამანადგურებელი იქნება! მოსალოდნელ სანქციასთან დაკავშირებით, პუტინის პასუხმაც არ დააყოვნა და პირდაპირ ომით დაემუქრა “დემოკრატიის შუქურებს“: “ის, რასაც ვაშინგტონი აკეთებს, მსოფლიოში მეტ კონფლიქტს გამოიწვევს. ეს არის გზა დაუსრულებელი კონფლიქტისკენ, სავაჭრო და შესაძლოა, არა მარტო სავაჭრო ომებისკენ — რეალური ომებისკენაც. ხატოვნად რომ ვთქვათ, ეს არის ბრძოლა წესების გარეშე, რომელიც ყველას ყველასთან აპირისპირებს. ეკონომიკური ეგოიზმი სავაჭრო და შესაძლოა, რეალური ომის რეცეპტიც იყოს “ჯერ იყო და ობამას დროს გაიჟღერა იდეამ და წააქეზეს უკრაინის არაუკრაინელი ხელისუფლება, რომ რად გინდათ რუსული გაზი ან ნავთობი, აგერ ტანკერებით მოგაწვდიდით ჩვენო... ხუმრობ-ხუმრობაში აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკი ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიწვია. ამის შესახებ ინფორმაცია უკრაინის ახალი პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელდა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვლადიმირ ზელენსკიმ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტით მიწვევისთვის მადლობა გადაუხადა. უკრაინის პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ცნობაში აშშ-ის მხრიდან უკრაინის ტერიტორიული მხარდაჭერაზეა საუბარი, რისთვისაც პრეზიდენტი, ვლადიმირ ზელენკი ამერიკელ კოლეგას მადლობას უხდის... საინტერესოა როგორ გაართმევს პრეზიდენტობას თავს ზელენსკი, წინ რიგგარეშე რადას არჩევნებია, რომელსაც ვერანაირად ვერ ჩაატარებს დათქმულ დროს და სავარაუდოდ შემოდგომაზე ჩატარდება, არჩევნებს დიდ ქვეყანაში დიდი მატერიალური რესურსი ჭირდება, ზელენსკის კალამოისკი, მაგრამ აშშ ს მითითების შეუსრულებლობაც ავის მომასწავლებელია. განა უკრაინაში ცოტა ოლიგარქები არიან, ვინც ახალი პრეზიდენტის კარისკენ გზის „გავაკებას“ ლამობს? არა, ბევრნი არიან, მაგრამ კალამოისკი „დონეა“, თან საშიში, რომელიც ყველა ბერკეტს გამოიყენებს მიზნის მისაღწევად... მოკლედ, სხვა უბედურებასთან ერთად უკრაინაში ოლიგარქების ომსაც უნდა ველოდოთ ძნელად პროგნოზირებადი შედეგებით... რა მოხდება თუ უკრაინელებს კიდევ იმედი გაუცრუვდებათ. შეძლებენ კი იმ კრიზისის გადალახვას რომელიც იანუკოვიჩის, იუშჩენკოს, პოროშენკოს პრეზიდენტობის პერიოდში მოუწიათ? გაამართლებს უზარმაზარი ქვეყნის, მმართველად არაპოლიტიკოსი, რომელმაც იქამდე ოლიგარქის კუთვნილ ტელეარხზე გასულ კომედიურ სერიალში მოიგო არჩევნები და ამით მოიგო უკრაინელთა გულები. რა უნდა ქნას უკრაინამ თუკი ზელენსკიც ისევე ჩაფლავდება, როგორც ჩაფლავდა აქამდე ყველა? თუ გავითვალისწინებთ თამაშ გარე დატოვებულ ტიმოშენკოს, მის კლანს და ძველ ურთიერთობებს მიხეილთან რომელიც შესაძლოა კორუფციასთან მებრძოლ გმირად მოგვევლინოს კალამოისკის სასარგებლოდ მაშინ უნდა ვივარაუდოთ რომ უფრო რთული სცენარი განვითარდება ვიდრე წარმოგვიდგენია. თან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბოლო სამი უკრაინის პრეზიდენტი არანაირად არ იყვნენ ეროვნულები და ნაკლებად აინტერესებდათ როგორც უკრაინის ასევე უკრაინელების მომავალი! არადა, ევროპაში სასიამოვნო ცვლილებების სიომ დაბერა. ზელენსკის გარემოცვით უკმაყოფილო რუდი ჯულიანმა ევროპარლამენტის არჩევნების წინ, ევროპაში ვიზიტისას განაცხადა, რომ ნაციონალიზმი „ძალიან ბუნებრივია“. მისი თქმით, უცნაურია, როცა საკუთარი ქვეყანა არ გიყვარს. „ვფიქრობ, შესაძლოა, ევროპისთვის კარგია ინტერნაციონალიზმის თაობაზე დებატების არსებობა და რომ სამშობლო პირველ ადგილზე გადადის. როგორც ვიცი, ნაციონალიზმს უარყოფითი მნიშვნელობა აქვს მასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების გამო, მაგრამ ძალიან ბუნებრივია, გიყვარდეს შენი ქვეყანა. თუკი საკუთარი ქვეყანა არ გიყვარს, ნამდვილად ცოტა უცნაური ხარ“, — კითხვაზე, თუ ორჯერ რატომ დასრულდა ევროპაში ნაციონალიზმი ომით, მან უპასუხა, რომ სოციალიზმმაც უბედურებამდე მიიყვანა საქმე. ნაციონალიზმი ისეთივე ლოგიკურია, როგორც ინტერნაციონალიზმი. ორივემ შეიძლება სწორი კურსიდან გადაუხვიოს და დიქტატურამდე მიგვიყვანოს. რეალობაა ის, რომ ჩვენ ამჟამად, ამასთან ახლოსაც არ ვართ“, — მისივე თქმით, დიდი ორგანიზაციები, როგორიც ევროკავშირია „ძალიან შორსაა ხალხისგან და ისინი ბევრ ფულს ხარჯავენ“. რამოდენიმე დღის წინ აშშ-ის სახელწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ ის ახალ მრჩეველთა ჯგუფს აამოქმედებს, რომელიც ადამიანის უფლებებზე „ბუნებითი სამართლის“ კონტექსტში იმუშავებს. ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენელთა თეორიით, ადამიანის ბუნებითი უფლებები ღმერთის მიერ არის ნაბოძები და ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს. მიუხედავად იმისა, თუ რომელ ეპოქასა ან საზოგადოებაში ცხოვრობდა ან ცხოვრობს ადამიანი, ეს უფლებები არ იცვლება და სახელმწიფო მოვალეა ისინი დაიცვას. თანამედროვე პოლიტიკაში კი „ბუნებითი სამართალი“ ასოცირებულია კონსერვატულ ქრისტიანობასთან, განსაკუთრებით კი ეწინააღმდეგება ლგბტ და აბორტის უფლებებს.სახელმწიფო დეპარტამენტმა „ხელშეუვალი უფლებების კომისიის“ შექმნის შესახებ განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს კომისია ადამიანის საერთაშორისო უფლებების შესახებ რჩევებითა და რეკომენდაციებით უზრუნველყოფს. ევროპელი ხალხის „მსახურები“ ამერიკას აბრალებენ არსებულ ვითარებას, ამერიკელი „ხალხის მსახურები“ ეროკავშირს... გახლეჩილ უკრაინაში და სამწუხაროდ საქართველოშიც არჩევნებიდან არჩევნებამდე მიხეილი დაბრუნებით გვემუქრება და მისი პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტ დამთავრებული მეუღლე ხან პარლამენტისკენ მიიწევს და ხან მერობისთვის იბრძვის. უკრაინის კონსტიტუციის თანახმად, „მაღალს“ არ შეუძლია საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა (2014 წელს ჩამოვიდა, შემდეგ დაატოვებინეს უკრაინა და ბოლო წელიწადს უკრაინის საზღვრებს გარეთ ცხოვრობდა. რადაში მოსახვედრად ხუთი წელი ქვეყანაში უნდა ცხოვრობდე) ალბათ ხვდებიან, რომ მათი დრო წავიდა თუმცა რას მოიმოქმედებენ მათთვის ბოლო ჟამს ვინ იცის... არჩევნებიდან არჩევნებამდე ყოფის გაუმჯობესების მოლოდინში ჩვეულებრივი მოკვდავების ცხოვრება მიილია... ყველაფერს აქვს დასასრული. უკრაინისთვის და საქართველოსთვის ერთ წრეზე ტრიალი უკვე, უსასრულობაში გადავიდა...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

მარტო, მეგობრების ალყაში

გეოპოლიტიკური ვითარება ჩვენი სამშობლოს, საქართველოს გარშემო საგანგაშო თუ არა, სერიოზულად დასაფიქრებელი და გასაანალიზებელია. დასაწყისშივე ვიტყვით, მავანი შემოგვედავება, მდგომარეობას მუქ ფერებში აღწერთო. ამიტომ მოდით, თანმიმდევრულად განვიხილოთ სიტუაცია. სამწუხაროა, საქართველო რეგიონში, ფაქტობრივად, ეულად, უმეგობროდ არის დარჩენილი. ჩვენ კი ვთვლით მეზობლებს მეგობარ ქვეყნებად, ისინიც ზრდილობის გულისთვის ძმობას გვეფიცებიან, მაგრამ თუ დასჭირდებათ, წიხლს პირველები ისინი დაგვაჭერენ. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ჩვენი საგარეო პოლიტიკაა. თუ რატომ, შევეცდებით, ჩვენი მოსაზრება ფაქტებით გავამყაროთ.

საქართველოს ერთ-ერთი მეზობელი, ამასთან, დიდი ქვეყანა თურქეთი ნატოს წევრია. იგი ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, ალიანსში სამხედრო ცოცხალი ძალით მოწინავეა. გვახსოვს, რუსული თვითმფრინავის თურქეთის ავიაციის მიერ ჩამოგდების შემდეგ ვითარება ორ ქვეყანას შორის უკიდურესად დაიძაბა.

პოლიტოლოგები საბრძოლო მოქმედებების დაწყებასაც კი ვარაუდობდნენ. ნატოს წევრმა ქვეყნებმა კი თურქეთს ღიად განუცხადეს, რომ რუსეთ-თურქეთის კონფლიქტში არ ჩაერეოდნენ და ყველა სადავო საკითხი თავად მოეგვარებინათ. მართლაც, პრეზიდენტ რეჯიფ თაიფ ერდოღანს კოლოსალური შრომა დასჭირდა, რათა გაენეიტრალებინა კონფლიქტი, აღედგინა გაჩერებული ტურისტული ტურები და ეკონომიკური კავშირები.

დღეს ერდოღანი რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს ძმობა-მეგობრობას ეფიცება. ეკონომიკური თანამშრომლობა ორმა ქვეყანამ არა თუ აღადგინა, ახალ ჭრილში გადაიყვანა. ამის დასტურია გაზსადენ „თურქეთის ნაკადის" მშენებლობა, რომელიც უკვე წელს ამუშავდება სრული დატვირთვით. განსაკუთრებით საყურადღებოა თურქეთის მიერ რუსული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შ-400-ის შეძენა, რასაც აშშ კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად ამისა, თურქეთის ხელისუფლებამ სიჯიუტე გამოიჩინა და ნატოს წევრმა ქვეყანამ შეიძინა რუსული თავდაცვის საშუალება, რითიც, პრაქტიკულად, უარი თქვა ამერიკულ F-35-ის ტიპის სამხედრო თვითმფრინავებზე. პენტაგონი შეაშფოთა იმ გარემოებამაც, რომ F-35-ის ტექნიკური მონაცემები რუსეთისთვის საიდუმლოდ აღარ დარჩებოდა, რადგან S-400-ს აქვს ამომცნობი „შენი-სხვისი" სისტემა და თვითმფრინავის ამომცნობ ბაზაში აუცილებლად უნდა შეეყვანათ, რათა S-400 გამოყენების შემთხვევაში თურქეთისავე თვითმფრინავები არ გაენადგურებინა. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს სხვა, არა შავი ზღვის აუზის ქვეყნების გემებისთვის ბოსფორის სრუტე თითქმის 3 თურქეთშ კვირა ჰქონდა ჩაკეტილი. გამორიცხული არ არის, თუ საჭიროდ ჩათვლის თურქეთის ხელისუფლება, მსგავსი მომავალშიც გაიმეოროს. ისინი თავიანთი ქვეყნის ინტერესებით ხელმძღვანელობენ.

დავით გარეჯში ახლახან განვითარებულმა მოვლენებმა ჩვენი საზოგადოების ნაწილის (სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილის) აღშფოთება და პროტესტი გამოიწ-

ვია. აზერბაიჯანს საქასრთველოს ხელისუფლებები მიიჩნევდნენ და ახლაც სტრატეგიულ პარტნიორ, მეგობარ ქვეყნად თვლიან, სინამდვილეში კი არასახარბიელო რეალობაა. თუმცა ეს უკვე ცალკე თემაა.

ბაქო-ჯეიხანის ნავთობსადენით აზერბაიჯანი ცდილობდა რეგიონში დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას. თუმცა პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ცდილობს, კეთილმეზობლური ურთიერთობა შეინარჩუნოს რუსეთთან. აზერბაინჯანში ხშირად იმართება რუსული კულტურის დღეები. ბაქოში ვიზიტად მყოფ პრეზიდენტ პუტინს აჩვენეს, თუ როგორი ენთუზიაზმით ასწავლიან რუსულ ენას აზერბაიჯანის სკოლებში. დიდმა პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო. წლეულს გაზაფხულზე ჩინეთში გაიმართა ფორუმი „ერთი მატარებელი — ერთი გზა". ფორუმზე იმსჯელეს „აბრეშუმის გზის" მარშრუტზე, გადაწყდა, რომ ჩინეთიდან თუ აღმოსავლეთ აზიიდან წამოსული ევროპისთვის განკუთვნილი ტვირთების ნაწილი კასპიის ზღვით ჩავა ბაქოში, საიდანად რკინიგზით რუსეთისკენ წავა. საინტერესოა, საქართველო ამოვარდა „ავრეშუმის გზის" პროექტიდან. თუ რაშია საქმე, ამის შესახებ ჩვენი ხელისუფლება არაფერს გვეუბნება. სავარაუდოდ, საქართველო ჩინეთისთვისაც უინტერესო გახდა. ეს მაშინ, როდესაც „აბრეშუმის გზის" იდეა ედუარდ შევარდნაძემ გააქტიურა.

შარშან სომხეთში რევოლუციის შედეგა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ პაშინიანი გახდა. პიროვნება პროდასავლურ პოლიტიკოსად მოიაზრებოდა. როგორც ამბობდნენ, პაშინიანი აპირებდა, რუსეთისთვის მოეთხოვა გიუმრის სამხედრო ბაზის დატოვება, თუმცა პაშინიანმა პოლიტიკური ვექტორი მალე შეცვალა — სომხეთს არც ევრაზიის კავშირი, არც დსთ არ დაუტოვებია, გიუმრის სამხედრო ბაზაზე აღარც კი საუბრობენ. წლეყლს ნიკოლ პაშინიანმა რამდენჯერმე ოფიციალურად განაცხადა, რომ რუსეთთან ყოველგვარ ურთიერთობას გაარღმავებს და გააუმჯობესებს.

პაშინიანმა მიაღწია იმას, რომ ევროკავშირი აღარ ეწინააღმდეგება სომხეთის ევრაზიის კავშირში და დსთ-ში ყოფნას და ქვეყანასთან ყოველგვარი წინაპირობის გარეშე აქტიურად ითანამშრომლებენ.

ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, სპარსეთის ყურეში პოლიტიკური ვითარება კვლავ უკიდურესად დაძაბული რჩება. განახორციელებს თუ არა აშშ ირანზე სამხედრო შეიარაღებულ შეტევას, არავინ უწყის. ერთი შეხედვით, ირანთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვი თ. ურთიერთობა ირანთან მას შემდეგ გაცივდა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ ნატოსკენ გასწია. მართალია, სავაჭრო თუ სხვა კავშირები გვაქვს,

მაგრამ ჩვენს მეცნიერებს უკვე ორი ათწლეულია, ირანში ცივად ხვდებან. ამას დაგვიდასტურებენ სპარსოლოგები, რომლებსაც ირანში უხდებათ მივლინებით ყოფნა. სამაგიეროდ, ირანელებს საკმაოდ თბილი ურთიერთობა რუსეთთან და ამ ქვეყნის მოკავშირეებთან აქვთ. ამის გარდა, ირანი სირიის კინფლიქტის და სახელმწიფოებრივი მოწყობის მოლაპარაკებებში მონაწილეობს და თურქეთის წარმომადგენლებთან ერთ მაგიდასთან სხედან, რაც ჯერ კიდევ რამდენიმე, თუნდაც 5 წლის წინათ, წარმოუდგენელი იყო.

რიტორიკულად ვიკითხოთ, არის კი ჩვენს სამეზობლოში ქვეყანა, რომლის იმედიც უნდა გვქონდეს რუსეთთან დაპირისპირების შემთხვევაში? როგორც ვხედავთ, არა. უფრო მეტიც, საქართველოში რომელიმე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზის განთავსების შემთხვევაში ყველა მეზობელი მტრად მოგვეკიდება, რადგან რუსეთთან ყველა მჭიდრო კავშირშია. დავუშვათ და განვათავსეთ რომელიმე ქვეყნის სამხედრო ბაზა (არადა, რომელ უცხოურ ბაზაზეა საუბარი, როდესაც რუსეთის ჯარი აქვე, თბილისიდან 30 კმ-შია) თავისი ჰაერსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო დანადგარებით. ვიქნებით კი დაცულები? — პასუხი მარტივია, არა! თუ სპარსეთის ყურეში დაიწყება სამხედრო ოპერაცია, იმ შემთხვევაში თუ აქ იქნება განთავსებული იგივე ნატოს სამხედრო ბაზა, ირანის რაკეტების პირდაპირი სამიზნე გახდება საქართველო. მათ არსენალში აქვთ ბალისტიკური რაკეტები, რომელთა ფრენის მანძილი 2000–2500 კილომეტრია.

სამხედრო სტრატეგობის პრეტენზია ნამდვილად არ გვაქვს, მაგრამ ვხედავთ, რომ თუ ჩაიკეტება ბოსფორის სრუტე, ნებისმიერი სამხედრო ბაზა უმაქნისი გახდება. თუნდაც იყოს ღია, რუსეთის საზღვაო სამხედრო ფლოტი შავი ზღვის აკვატორიაში გაძლიერდა, განსაკუთრებით ყირიმის დაბრუნების შემდეგ. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ შლეგი სააკაშვილის დამსახურებით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებიდან რუსეთი არათუ კავკასიას, არამედ ახლო აღმოსავლეთის დიდ ნაწილს აკონტროლებს და ფარავს. ჯერ კიდევ საბჭოთა დროს ეშერის ე.წ. ლაბორატორიიდან ევრაზიის ნაწილს აკონტროლებდნენ.

დანამდვილებით შეიძლება ვთქვათ — ნებისმიერი სამხედრო კონფრონტაციის შემთხვევაში ჩვენი მეზობლები ხელიდან არ გაუშვებენ შანსს და დარჩენილ ტერიტორიებსაც „აგვახევენ". ამაზე ოცნებობენ კიდეც.

საქართველოს უბლოკო ქვეყნის წინააღმდეგ პირდაპირ ვიტყვით, სწორედ საქართველოს მტრები არიან. მათი მიზანი ქვეყნის გაერთიანება, აღორძინება სულაც არ არის.ე.წ. ოპოზიციისთვის მთავარია, ქვეყნის შიგნით იყოს ქაოსი, არეულობა. ამასთან, დაჟინებით ითხოვენ ნატოს ბაზის განთავსებას საქართველოში. საბოლოო შედეგი, მშვიდობიანი მოსახლეობა არ აინტერესებთ. ეს კარგად გამოჩნდა 2008 წელს, როდესაც პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, რომელიც დღეს ცდილობს, თავი ქვეყნის კეთილდღეობისთის მებრძოლ რაინდად მოგვაჩვენოს, ხალხს მოუწოდებდა, ჩვენი იმედი ნუ გექნებათ, რითიც და როგორც შეგიძლიათ, იმით დაიცავით თავიო. თავად ხელისუფლების წარმომადგენლები იმ დროს, ფაქტობრივად, გაქცეულები იყვნენ. სასაცილოა, რომ ახლაც სწორედ ესენი მოუწოდებენ მოსახლეობას ბრძოლისკენ.

გია ბურდული
551 71 27 07

ბლუ არტურა, ქალბატონი რებეკა და „თბილისი პრაიდი“, ანუ მსვლელობა ჯოჯოხეთისკენ

არტურ გალუსტინიანის ლექსი შეიძლება სრულიად მსოფლიოს ლგბტ საზოგადოების მანიფესტად იქცეს

„თბილისი პრაიდის“ ჩატარების დღეები ახლოვდება და საზოგადოებაში ვნებათაღელვა უფრო და უფრო მატულობს.

— ცოცხალი თავით არ ჩავატარებინებთ მაგ პედერასტებნს აღლუმს. ყველგან, ყველა ქუჩაში, სადაც მათ უნდა გაიარონ, ლოცვად დავდგებით ჯგუფ-ჯგუფად და არ გავატარებთო, — ამბობენ „ქართული მარშის“ წევრები და სრულ „საბრძოლო“ მობილიზებას აცხადებენ.

იგივე აზრზეა სამღვდელოებაც, იგივე აზრზეა ქართული ეკლესიის მრავალრიცხოვანი მრევლიც და, ზოგადად, საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა.

— ასეთ სიტუაციაში ჩვენ პრაიდის მონაწილეთა უსაფრთხოების პასუხისმგებლობას ჩვენს თავზე ვერ ავიღებთო, — განაცხადა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რამაც ქალბატონი რებეკა ჰარმსის გაოცება და გაკვირვება გამოიწვია — საქართველო ევროკავშირის ასოცირებული წევრია. სხვა ასოცირებულ სახელმწიფოთაგან არც ერთს არ უთქვამს უარი მსგავსი ღონისძიების ჩატარებაზე და თქვენ რაღა დაგემართათო? — გულწრფელად არის შეწუხებული ქალაბატონი რებეკა და გადაწყვეტილების შეცვლისკენ მოგვიწოდებს.

მოგვეჭრა თავი ევროკავშირის და მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ევროკავშირის წევრობა გინდებლარიენ, ნატოში შესვლა გინდებლარიენ, ცივილიზებული და კულტურული ერის სახელი რომ გერქვას, გინდებლარიენ, მაგრამ გეიაღლუმი არ გინდებლარიენ?

ეგრე სად არი, ძმაო?

სადაც მიხვალ, იქაური ქუდი დაიხურეო — ხომ გსმენიათ?

ჰოდა, ევროკავშირში თუ გინდათ, ის ქუდი უნდა დაიხუროთ, რასაც შემოგთავაზებენ, თორემ ჩვენებური „კეპკით“ და ფაფახით იქ ვინ შეგასუნინებს?

კაი ცხოვრება რომ გინდათ, ხელთან ერთად ერთი ადგილიც უნდა გაანძრიო, თორემ, ხომ ხედავთ, როგორ გვენძრევა.

— მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი! — ანდერძად დატოვებული ეს სიტყვები მხოლოდ სიტყვებად ხომ არ უნდა დარჩეს — ქართველი თუ ხარ, ავტომატურად ევროპელიც უნდა იყო და პირიქით... თუმცა ეს პირიქით ამ შემთხვევაში სრულიად უადგილოა, რადგან შეიძლება იყო ევროპელი, მაგრამ არ იყო ქართველი, ისე, როგორც შეიძლება იყო ქართველი, მაგრამ არ იყო ევროპელი, ანუ იყო მხოლოდ ქართველი, ვთქვათ და, სანდრო ბრეგაძესავით.

ასე რომ, ამ მხრივ ცოტა არეული გვაქვს „რამსები“, მაგრამ არა უშავს, დრო ყველაფერს დაალაგებს და გადაანაწილებს.

ისე, კაცმა რომ თქვას, ძალიან კი გაგვჭირეს საქმე ამ ევროპელებმა — სიტყვის თავისუფლებას უნდა მიგაჩვიოთო, დემოკრატია უნდა გასწავლოთო, გენდერულ თანასწორობას უნდა გაზიაროთო...

ვინ რას უნდა აზიაროთ თქვენ, კაცო, ჩვენ რომ ქალი გვყავდა მეფედ, მაშინ თქვენ ქალს სამზარეულოდან გარეთ არ ახედებდით.

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია“, — იცით, ვინ თქვა ეს და როდის თქვა?

რაც შეეხება დემოკრატიას, ზუსტად დღევანდელი პარლამენტის იდენტური ორგანიზაცია საქართველოში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში არსებობდა.

თქვენ კუდიანებზე ნადირობდით და ადამიანებს ცეცხლში ბრაწავდით, კრემატორიუმებში გაზით გუდავდით, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ჯიშის და სხვა ეროვნებისა იყვნენ, ჩვენ კი, ჩვენი არსებობის მანძილზე არასოდეს არავინ გვიდევნია ეროვნულობის ნიშნით, სარწმუნოების ნიშნით.

ასე რომ, თქვენ რა უნდა გვასწავლოთ ისეთი, რაც არ ვიცით?

მაინცდამაინც ის თუ გინდათ გვასწავლოთ, რომ ხმარებიდან ამოვიღოთ ტერმინები დედა და მამა და მშობლებს მშობელი-1 და მშობელი-2 დავუძახოთ, რომ მომავალში ამით გავამართლოთ და ამით დავაკანონოთ კაცის კაცზე და ქალის ქალზე ქორწინება და ამ, ქორწინების შედეგად შექმნილი ოჯახებისთვის ბავშვის შვილების უფლება, ვის ავადმყოფ ტვინში დაიბადა ეს სატანური იდეა, შემაძრწუნებლად ანტიადამიანური, გამაოგნებლად ანტიჰუმანური, თავისი არსით კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული აპოკალიფსური და აბსოლუტურად დამანგრეველი მზაკვრობა?

ძალიან სერიოზული საუბარი გამოგვივიდა, არადა, ფრიად არასერიოზულია თემა, რომელიც დისკუსიების და დისპუტების თემად იქცა.

არადა, ახლა, ეპოქალური მნიშვნელობის რევოლუციურ თემად შემოსაღებული ეს თემა ისეთივე ძველია, როგორც სამყარო.

ეს ცუდად ატროკებული ლგბტ თემის წევრები და მათი უფლებების დამცველები საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს ეს „ზოგადსაკაცობრიო“ საკითხი მხოლოდ ახლა დადგა კაცობრიობის დღის წესრიგში და მანამდე არც გეები ყოფილან, არც ტრანსსექსუალები, არც ლესბოსელები, არც მამათმავლები, არც ტრანსვესტიტები.

ახლა მე თქვენ წარმოგიდგენთ დარჩო გალუსტინიანის ლექსს თავის შესავალთან ერთად და დარწმუნდებით, რომ ამ „ბნელ“ და სექსუალურად „ველურ“ საქართველოში საკმაოდ „პროფესიულად“ აზროვნებდნენ თურმე.

„ქვემოთ მოყვანილი ლექსი შაჰქმნილია ტფილისელი კინტოს, ვინმე ბლუ არტურას მიერ მე-19 საუკუნის ბოლოს. სიმღერა იმღერება აშუღურ მოტივებზე და შესაბამისად, დუდუკის მოტივებზე.

„მე რად მინდა ეს კურტუმა
თუკი კაცს არ გამაადგა?
მაშინ მოკვდეს ბლუ არტურა
თუ ძმაბიჭებს არ წაადგა.
ძმანო, ყველა ვადღეგრძელოთ,
კაცს უკნიდან ვინც მაადგა,
ყველა ბოლოს გამართლდება,
ჩვენს ნათელ გზას ვინც დაადგა.

მისამღერი:
სილამაზის ტრფიალება
მეკურტუმის ვალია,
ყველა კაცი შინაგანად
ნართის მრთველი ქალია,
თვით ტფილისის ღენერალმა
ჩვენი ჭიქით დალია,
თანაყოფა სიამეა,
უკაცობა გალია“.

როგორია, ჰა?

ხომ გამოდგება მთელი მსოფლიოს ლგბტ თემის მანიფესტად და ჰიმნის ტექსტად?

არადა, მე-19 საუკუნის ბოლოსაა „შაჰქმნილი“.

სხვათა შორის, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის ათიანი წლების საქართველო და დღევანდელი საქართველო რაღაცით ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

ჩვენც გვაქვს ჩვენი ევროპული წარსული და რომ არა კომუნისტური ეპოქის სამოცდაათწლიანი წყვეტა, დღეს შეიძლება ევროპაზე მეტი ევროპა ვყოფილიყავით...

ბედის უკუღმართობით, ბლუ არტურას არ გაუმართლდა, თორემ დღეს ეგ რომ ცოცხალი ყოფილიყო, ჩვენი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა გახდებოდა და რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციას ედგებოდა სათავეში.

დარწმუნებული ვარ, ბლუ არტურა ყველაზე სასურველი, ყველაზე მოთხოვნადი სტუმარი იქნებოდა ქართული ტელეარხებისა, განსაკუთრებით ნიკუტა გვარამიას ტელესასქათმისა.

არტურ გალუსტანიანის ამ „ლექსს“ი იმედია, მალე თარგმნიან მსოფლიოს ხალხთა სხვადასხვა ენებზე, რითაც საქართველო თავის წვლილს შეიტანს ლგბტ მიმართულების განვითარებაში.

ამ ლექსით „მტკიცდება“, რომ არც ისე წყალწაღებულნი და ჩამორჩენილები ვყოფილვართ თურმე, როგორც ეს ვიღაც-ვიღაცებს ეჩვენებათ და ძალად რომ გვანათლებენ.

ძალადობა პიროვნების წინააღმდეგ უმძიმეს დანაშაულად ითვლება, მაგრამ რატომ არ ითვლება დანაშაულად ძალადობა ერის წინააღმდეგ, როცა მას თავს ვახვევთ და ვაძალებთ იმას, რაც არ უნდა და არ მოსწონს.

არ უნდა ამ საქართველოს, ბლუ არტურას გზით იაროს და რატომ აძალებთ, ვერ გამიგია...

— სექსუალური უმცირესობების უფლებებს ვიცავთო, — აუჩემებიათ ვიღაც-ვიღაცებს.

სექსუალურ უმცირესობას კი არ იცავთ თქვენ, უმრავლესობაზე ძალადობთ და უმცირესობის გაუკუღმართებულ ინსტინქტებზე გინდათ უმრავლესობაც გადართოთ.

●

ერთმა კაცმა, რომელსაც ჭკვიან ადამიანად ვიცნობ, ასეთი რამ მითხრა: იცით თუ არა, რომ თქვენ, ვინც ლგბტ თემის აღლუმების თუ სხვა ღობისძიებების ჩატარებას ეწინააღმდეგებით, სწორედ ლგბტ თემს უკეთებთ დიდ საქმეს და მის წისქვილზე ასხამთ წყალს?

— რანაირად-მეთქი? — გავიკვირვე.

— რანაირად და იმნაირად, რომ, რაც უფრო დიდია ხმაური და წინააღმდეგობა ელგებეტეების მიმართ, მით უფრო იზრდება მათი დაფინანსება, იზრდება მხარდაჭერის მასშტაბები, იქმნება ახალ-ახალი ორგანიზაციები, ანუ თქვენი წინააღმდეგობით თქვენ თვითონვე აძლიერებთ მათ და უფრო და უფრო აქტიური მოქმედებებისკენ უბიძგებთ.

ქუჩაში გამოსვლა უნდათ? მიუშვით, გამოვიდნენ! დაე, ხალხმა დაინახოს, როგორი საცოდავები, როგორი უბედურები, როგორი სასაცილოები და საბრალოები არიან. ხომ გინახავთ მათი მსვლელობები საზღვარგარეთის ქვეყნებში? ისეთი ამაზრზები და შემაძრწუნებელი სანახაობაა, თავი ჯოჯოხეთში გეგონება. სინამდვილეში ისინი თვითონვე ეწევიან საკუთარი თავის დისკრედიტაციას, თქვენ კი ამაში ხელს უშლით.

თუ იმის დამალვა და მიჩქმალვა გინდათ, რომ საქართველოში მრავლად არიან სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები, ისინი იყვნენ, არიან, იქნებიან და ეს არაფრით შეურაცხყოფს ქართველი ერის სახელს და ღირსებას, რადგან ერის ღირსება იმით არ იზომება, რამდენი გეი და ტრანსვესტიტი დატანტალებს ამა თუ იმ ქვეყანაში.

როგორც ვთქვი, ისინი საბრალო და საცოდავი ადამიანები არიან. ნუ აქცევთ მათ გმიებად, რომლებსაც მთელი ქვეყანა ებრძვის და მაინც ვერ ამარცხებს.

ვფიქრობ, საინტერესო და საყურადღებო მოსაზრებაა, რომელზეც მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ნამდვილად ღირს...

გიორგი გამეზარდაშვილი

ჰიტლერის „ჩრდილი“

მარტინ ბორმანის იდუმალებით მოცული გაუჩინარების საიდუმლო, რომელიც დღემდე ამოუხსნელია

„ვინც ბორმანის წინააღმდეგია, ის სახელმწიფოს წინააღმდეგია“ – ამბობდა ადოლფ ჰიტლერი და ასეც იყო. მარტინ ბორმანი ჰიტლერის პირადი მდივანი, უახლოესი თანამებრძოლი და მესამე რაიხის ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა გახლდათ. მისი სახელი დღემდე იდუმალების ბურუსითაა მოსილი, რაც მრავალრიცხოვანი ჭორებისა და სპეკულაციების საფუძველს იძლევა. გერმანიის „ნომერ მეორე ნაცისტის“ ცხოვრება და საიდუმლოებით მოცული გაუჩინარება ისტორიკოსებისთვის დღემდე თავსატეხს წარმოადგენს, თუმცა დავიწყოთ თავიდან..

მარტინ ბორმანი მეოცე საუკუნის დასაწყისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში დაიბადა. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, თუმცა გერმანიის დამარცხებამ და ვერსალის სამარცხვინო შეთანხმებამ ყოფილი სამხედროების ულტამემარჯვენე გაერთიანების რიგებში გაა-

წევრიანა. „ერის მსახურების“ მომდევნო ეტაპი ჰიტლერთან მუშაობა გახდა. ბორმანი უფროსის ყველაზე არაადამიანურ ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებდა და მონაწილეობდა საკუთარი მასწავლებლის მკვლელობაში, რომელიც კომუნისტების მიმართ გამოხატული სიმპატიების გამო გაასამართლეს.

მარტინ ბორმანი ნაცისტური პარტიის რიგებში 1926 წელს გაწევრიანდა. ძალიან მალე მნიშვნელოვანი თანამდებობაც დაიკავა და პარტიულ სალაროზე წვდომაც მოიპოვა. ძალაუფლებისკენ მიმავალ გზაზე ბორმანის მომდევნო ნაბიჯი ჰიტლერის უახლოესი თანამებრძოლის ვალტერ ბუგის ქალიშვილზე – გერდაზე დაქორწინება იყო. ფიურერმა ახალდაქორწინებულებს პირადად მიულოცა.

კარიერის პირველი დღიდან ბორმანი ჰიტლერის კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა. ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას, რომ ფიურერისთვის ერთგულება დაემტკიცებინა და ნებისმიერ დავალებას უსიტყვოდ ასრულებდა. მისი მონდომება დაუფასებელი არ დარჩენილა – მცდელობა წარმატებით დასრულდა: ის თავად რუდოლფ ჰესეს კანცელარიის უფროსი გახდა, რომელიც ფაშისტურ იერარქიაში მესამე კაცად ითვლებოდა. ამას ფიურერის რეიხსკანცელარიაში მუშაობა მოჰყვა. ბორმანს მხოლოდ პარტიული სალარო კი არა, თავად ჰიტლერის ფინანსები ანდეს. ფული კი ნაცისტებს ძალიან ბევრი ჰქონდათ – პარტიულ სალაროში გერმანიის ყველა მეწარმეს თავისი წილი შეჰქონდა.

ბორმანი სწრაფად იკეთებდა კარიერას. ჰიტლერმა ის პირად მდივნად დანიშნა და მის რჩევებს ყოველთვის ყურადღებით ისმენდა. რეიხსკანცელარიაში ბორმანს „ჰიტლერის ჩრდილი“ შეარქვეს. ფიურერის პირადი მდივანი შეფის ყველა გამოსვლის ჩანაწერს ინახავდა და საჭიროების შემთხვევაში ციტირებას ახდენდა. ამის გარდა, ბორმანი ჩინოვნიკების შესახებ ყველანაირ ინფორმაციას აგროვებდა, რომ საჭიროების შემთხვევაში თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

ჰიტლერის ნდობით აღჭურვილ ბორმანს უზარმაზარი ძალაუფლება ჰქონდა და სახელმწიფოს შიდა თუ გარე პოლიტიკას განსაზღვრავდა. ბორმანმა შეიმუშავა საბჭოთა ტერიტორიის

დაყოფის გეგმა, შემოიღო სამხედრო დამნაშავეთა არაადამიანური დასჯის მეთოდები, სწორედ მან გააფორმა ფაშისტების პოლიტიკა ებრაელებთან მიმართებაში და გერმანიასა და ვატიკანს შორის ურთიერთობაში უთანხმოება გააჩინა.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, გასაკვირი არაა, რომ ბერლინში საბჭოთა ჯარების შესვლამდე რამდენიმე დღით ადრე ჰიტლერმა ანდერძში მიუთითა, რომ ქვეყნის მართვას მხოლოდ მარტინ ბორმანს ანდობდა, თუმცა ისეთმა ძლევამოსილმა ნაცისტმაც კი როგორიც ნორმანი იყო, რეიხის გადარჩენა ვერ შეძლო.

პირველი მაისის საღამოს სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა ბორმანმა, პირადი ჩანაწერები და ფიურერის ანდერძი ჩანთაში ფაქიზად ჩაალაგა და რაიხსკანცელარიის გარშემო საბჭოთა ალყის შეუმჩნევლად გარღვევა სცადა. მას შემდეგ „ფიურერის ჩრდილის“ კვალი იკარგება.. ოფიცერები, რომლებმაც ბუნკერიდან ბორმანთან ერთად გამოაღწიეს, მაგრამ საბჭოთა ჯარისკაცების ხელში ჩავარდნენ, ირწმუნებიან, რომ ის სროლაში მოჰყვა და დაიღუპა.

ინგლისელი მზვერავის კრეიტონის მოგონებებში ინახება ჩანაწერი, რომლის თანახმად, ბორმანი ლონდონში გააგზავნეს. პლასტიკური ოპერაციის შემდეგ, რომელმაც მისი გარეგნობა მთლიანად შეცვალა, მან ინგლისის ტერიტორიაზე ცხოვრება მშვიდად გააგრძელა.

საბჭოთა ისტორიკოსის ტარტაკოვსკის ერთ-ერთ ნაშრომში მარშალ ერიომენკოს მოგონება ინახება. ის ამტკიცებს, რომ მარტინ ბორმანი საბჭოთა დაზვერვის თანამშრომელი იყო და ომის შემდეგ თავი მოსკოვს შეაფარა. ტარტაკოვსკი ამტკიცებს, რომ მოსკოვის ერთ-ერთ სასაფლაოზე საკუთარი თვალით ნახა საფლავი, რომელზეც მარტინ ბორმანის სახელი, გვარი, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები იყო აღნიშნული.

საბჭოთა მკვლევარის ვერსია უამრავმა ისტორიკოსმა და პოლიტიკოსმა დაადასტურა. გერმანელი მზვერავი გელენი ბოლომდე დარწმუნებული იყო, რომ ბორმანი საბჭოთა აგენტი გახლდათ.

ამბობენ, რომ მარტინ ბორმანი მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ევროპისა და ამერიკის უამრავ ქვეყანაში შენიშნეს, სადაც სხვა სახელითა და გვარით ინიღბებოდა და ეს მაშინ, როდესაც 1954 წლის სასამართლოს გადაწყვეტილებით „ნომერ მეორე ნაცისტი“ 1945 წლის მაისში გარდაცვლილად აღიარეს.

ითვლება, რომ მარტინ ბორმანის სიკვდილის საიდუმლოს ფარდა 1972 წელს აეხადა, როცა ბერლინელმა მუშებმა, რომლებსაც კაბელი გაჰყავდათ, ორი ადამიანის ფერფლით სავსე კონტეინერი აღმოაჩინეს. მას შემდეგ, რაც ბორმანის ნათესავებმა დნმის კვლევისთვის სისხლის ნიმუშები ჩააბარეს და ექსპერტიზა ჩატარდა, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ერთ-ერთი გარდაცვლილი მარტინ ბორმანი იყო. ექსპერტების ვარაუდით, ალყის გარღვევის უშედეგო მცდელობის შემდეგ „ქვეყნის მეორე ნაცისტმა“ შხამი დალია. (ამპულის ნამსხვრევები ერთ-ერთი გარდაცვლილის კბილებში აღმოაჩინეს)

უამრავი ვერსიისა და მოწმეების ჩვენებების მიუხედავად, მარტინ ბორმანის ბედი დღემდე გაურკვეველი და სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს ამოუხსნელი დარჩება.

წყარო: **http://tainy.net/**

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

— რა არის ამნისტია და რა შეიძლება განხორციელდეს ამნისტიის აქტით? ასევე, მაინტერესებს შეწყალების საკითხი.

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77–78 მუხლები, რომელთა შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 77. ამნისტია

1. ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ.

2. ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის- სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

3. სასჯელმოხდილს ამნისტიის აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

მუხლი 78. შეწყალება

1. შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ.

2. შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

3. სასჯელმოხდილს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

* * *

— მაინტერესებს სისხლის სამართლის კოდექსიდან ოჯახური ძალადობის მუხლი თავისი სანქციებით.

— მუხლი 126[1]. ოჯახში ძალადობა

1. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, — ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;

ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;

გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

დ) ჯგუფურად;

ე) არაერთგზის,

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

* * *

— რამდენია პატიმრობის მაქსიმალური ვადა განაჩენის გამოტანამდე?

— იგულისხმება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება: სრულწლოვანი ბრალდებულის შემთხვევაში — 9 თვე, არასრულწლოვანი ბარლდებულის შემთხვევაში კი — 6 თვე.

* * *

— ჩემმა ახლობელმა მოიხადა პირობითი მსჯავრი. ითვლება თუ არა იგი ნასამართლეობის მქონე პირად?

— აღარ ითვლება.

ამ სახის შეკითხვა ხშირად შემოდის ჩვენს რედაქციაში. ამიტომ სრულყოფილი ინფორმაციისთვის წარმოგიდგენთ შესაბამის ნორმას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან.

მუხლი 79. ნასამართლობა

1. მსჯავრდებული ნასამართლეად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მზედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

2. სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

3. ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებულისა — გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

4. თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული ან თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან.

5. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე.

6. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მზედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

* * *

— არ მყავს ქმარ-შვილი. ჩემი ქონება ანდერძით მსურს დავუტოვო ჩემს ერთ-ერთ ძმისშვილს. ხომ არ შეექმნება პრობლემა მას დანარჩენი ძმისშვილებისაგან?

— თუ თქვენ ანდერძით დაუტოვებთ თქვენს ქონებას ერთ-ერთ ძმისშვილს, მას დანარჩენი ძმისშვილებისაგან არ შეექმნება პრობლემა, რადგან ძმისშვილები არიან მე-2 რიგის მემკვიდრეები და ისინი სავალდებულო წილის უფლებით ვერაფერს მოითხოვენ. სავალდებულო წილის უფლების მოთხოვნით

სარგებლობენ მხოლოდ 1-ლი რიგის მემკვიდრეები, კერძოდ, დედა, მამა, ბებია, პაპა, მეუღლე, შვილი.

* * *

— როდიდან გაქარწყლდება არასრულწლოვნის ნასამართლობა?

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

— მუხლი 12. არასრულწლოვნის ნასამართლობა

1. არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას — გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას — გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას — სასჯელის მოხდიდან 6 თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას — სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას — სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას — სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ.

* * *

— გარდამეცვალა ვაჟი. მას ჰყავდა მეუღლე, რომელთანაც ორი წელი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა. მე ჩემს ვაჟს სიცოცხლეშივე ვაჩუქე საცხოვრებელი ბინა. აღმოჩნდა, რომ გარდაცვალებამდე 5 თვით ადრე ისე, რომ მე არაფერი ვიცოდი, ისინი სამოქალაქო წესით დაქორწინებულან. ახლა მისმა მეუღლემ გამომიცხადა, რომ ის ქმრის მემკვიდრეა და მე ვერაფერს მივიღებ. რამდენად სამართლიანია ეს?

— მეუღლე და მშობელი, სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, არიან პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში, პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები სამკვიდროს მიიღებენ თანაბარზომიერად. შესაბამისად, თქვენი ვაჟის მიერ დატოვებული ქონება გაიყოფა ორ თანაბარ ნაწილად თქვენსა და თქვენ რძალს შორის.

* * *

— რა იგულისხმება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში?

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაა სხეულის ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ანდა რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან.

ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხს ადგენს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 551 50 89 07

ცნობილი ექიმი-სექსოლოგი არკადი მოროზოვი კურნავს ასაკობრივ და სხვა მიზეზებით გამოწვეულ სქესობრივ დისფუნქციებს. არკადი მოროზოვს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 577 43 25 13

ჭრელი გვერდი

ოლიმპო – მზის სისტემის უდიდესი ვულკანი

სამყაროში ორი ოლიმპოს მთა არსებობს. ერთი — დედამიწაზე, საბერძნეთში, მეორე კი მარსზე. მარსის ოლიმპოს სიმაღლე დაახლოებით 10-ჯერ აღემატება დედამიწისას.

ვულკანის ზომებია:
აბსოლუტური სიმაღლე — 21 კმ;
შედარებითი სიმაღლე — 26 კმ;
კრატერის დიამეტრი — 85 კმ.

ვილკანი მარსის დასავლეთ ნახევარსფეროში მდებარეობს. ის იმდენად მაღალია, რომ მის წვეროზე არსებული ატმოსფერული წნევა იქაური ნორმალური წნევის მხოლოდ 12%-ს შეადგენს. როდესაც მარსზე მტვრის ქარიშხალია, ოლიმპოს წვერი გიგანტური შუქურასავით მოჩანს.

ოლიმპო ბაზალტის ლავის მრავალჯერადი ამოფრქვევის შედეგად გაჩნდა. ბოლო ამოფრქვევა დაახლოებით 25 მლნ წლის წინათ მოხდა.

პინგვინი ნილს ულაფი – ნორვეგიის გვარდიის ოფიცერი

ნილს ულაფი სამეფო პინგვინია, რომელიც ედინბურგის ზოოპარკში ბინადრობს, არის ნორვეგიის სამეფო გვარდიის საპატიო მეთაური და ბრიგადირის სამხედრო წოდებას ატარებს.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1913 წელს ნორვეგიამ შოტლანდიის ზოოპარკს სამეფო პინგვინი აჩუქა. მოგვიანებით ზოოპარკში უკვე პინგვინების მთელი კოლონია ბინადრობდა. როდესაც 1972 წელს ნორვეგიის სამეფო გვარდია მონაწილეობას იღებდა სამხედრო ორკესტრების აღლუმში, ლეიტენანტ ნილს ეგელიენის თხოვნით, ზოოპარკის ერთ-ერთი ბინადარი პინგვინი სამეფო გვარდიელების „შვილობილი“ გახდა.

პინგვინს უმცროსი კაპრალის წოდება მიანიჭეს და ნილს ულაფი დაარქვეს (სახელი ნილსი ლეიტანანტის, ხოლო გვარი ულაფი, ნორვეგიის მეფის ულაფ V-ის პატივსაცემად).

ყოველთვის, როცა ნორვეგიის გვარდიის დელეგაცია ედინბურგში ჩადიოდა, პინგვინს მწყობრის წინ ჩაატარებდნენ ხოლმე. 1987 წლისთვის პინგვინმა სერჟანტის წოდება დაიმსახურა.

ნილს ულაფ I-ის სიკვდილის შემდეგ სხვა პინგვინმა დაიკავა მისი ადგილი. მას ნილს ულაფ II დაარქვეს. 2005 წელს პინგვინს ნორვეგიის გვარდიის საპატიო მეთაურის წოდება და რაინდის ტიტული მიანიჭეს, რაც ნორვეგიის მეფე ჰარალდ V-მ დაადასტურა.

მესამე პინგვინს ნილს ულაფ III-ს 2016 წელს ბრიგადირის ჩინი ნიანიჭეს. საზეიმო ცერემონიას 50 გვარდიელი ესწრებოდა.

მონოვი – სოფელი, სადაც მხოლოდ ერთი მცხოვრებია

სოფელი მონოვი 1902 წელს დაარსდა. რამდენიმე წლის შემდეგ აქაური მაცხოვრებლების რაოდენობა 109-მდე გაიზარდა, 1930 წლის შემდეგ კი კლება დაიწყო. 1950 წლისათვის მონოვში 67 ადამიანი ცხოვრობდა, 1970 წელს — 16, 2000-ში კი — 2. 2010 წლისთვის კი აქ მხოლოდ ერთი ადამიანი იყო აღრიცხული.

2000 წლის აღწერისთვის მონოვიში 2 მცხოვრები იყო — ხანსიშესული წყვილი — რუდი და ელსი ეილერები. რუდი 2004 წელს გარდაიცვალა და მისი მეუღლე მარტო დარჩა.

რადგან დასახლებაში სხვა არავინ არის, ელსი მერის მოვალეობასაც ასრულებს და საკუთარ თავს ალკოჰოლით ვაჭრობის ლიცენზიაც მისცა. გადასახადებს და მოსაკრებლებსაც ელსი პატიოსნად იხდის. ამასთან, იგი, როგორც მერი, ვალდებულია, სოფლის გზის გეგმა წარადგინოს, რადგან უნდა აითვისოს ის დაფინანსება, რასაც შტატის ხელისუფლება გამოყოფს სოფლის ქუჩებისა და ქუჩის განათების ლაპიონების წესრიგში ყოფნისთვის.

მონოვოში არის ბარიც. ბარმენის მოვალეობასაც ელსი ითავსებს. გარდა ამისა, ელსი პატრონობს სოფლის ბიბლიოთეკასაც, რომელიც მეუღლის პატივსაცემად გახსნა და სადაც 5 000 წიგნია.

კიდევ ერთი დასახლება, სადაც ოფიციალური დოკუმენტების მონაცემებით ერთი ადამიანი ცხოვრობს, ბუფორდია.

სახანძრო ჰიდრანტის გამომგონებელი და დამწვარი პატენტი

პირველი სახანძრო ჰიდრანტები ამერიკაში მე-19 ს-ის დასაწყისში გამოჩნდა. მათი დახმარებით შესაძლებელი იყო წყლის დროულად მომარაგება, რაც ფულის დაზოგვის შესაძლებლობას იძლეოდა ბევრ ადამიანს სიცოცხლეს უნარჩუნებდა.

მაგრამ უცნობია სახანძრო ჰიდრანტის გამომგონებლის ვინაობა.

სახანძრო ჰიდრანტის გამოგონებაზე პატენტი 1836 წლის აშშ-ის საპატენტო ბიუროს ხანძრის დროს დაიწვა. ცეცხლმა გაანადგურა, სამი ათეული წლის მანძილზე არსებული გამოგონებების პატენტები (დაახლოებით, 10 000 პატენტი), რომელთაგან მოგვიანებით მხოლოდ 2845 პატენტის აღდგენა მოხერხდა.

ხანძრის შემდეგ ბიურომ წესები შეცვალა და ამის შემდეგ დარეგისტრირებული პატენტების ფოტოასლები კეთდება.

1877 წელს პატენტების ახალი ბიუროც დაიწვა, რომელიც ცეცხლგამძლედ ითვლებოდა. დაიწვა მხოლოდ პატენტების ფოტოასლები, დაახლოებით 600 000 ცალი.

ქსიანრენი – მსოფლიოში უდიდესი ხელთუქმნელი ხიდი

2009 წელს თანამგზავრიდან გადაღებულ ფოტოზე აღმოჩინეს ჩინეთის პროვინცია გუამსიში მდებარე ხელთუქმნელი ხიდი, რომელიც წყალმა „შექმნა“ უზარმაზარი კლდისგან.

ხიდი მდინარე ბულიუზეა გადაჭიმული. მისი სიგრძე 120, ხოლო სიმაღლე 70 მეტრია. მას ქსიანრენი ჰქვია, რაც ჩინურად ზღაპრულს ნიშნავს. წყალი კარსტულ კლდეში ისე მიედინებოდა, რომ თაღი გაჩნდა.

ხიდი ტურისტული მარშრუტებისგან მოშორებით მდებარეობს, ამიტომ მისი არსებობა მხოლოდ ადგილობრივებმა იცოდნენ.

ქსიანრენის ხიდი 2009 წელს აღმოაჩინა ვინმე ჯეი უილბერგმა, რომელიც **Google Earth**-ის სერვისზე თანამგზავრიდან გადაღებულ ფოტოებს ათვალიერებდა.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ლაუნჯი „ესკობარი“

ლაუნჯი „ესკობარი“ ეს არის ადგილი, რომელიც მრავალფეროვანი პროგრამით, უგემრიელესი კერძებითა და ბარმენის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშებით ანებივრებს სტუმრებს. ცოცხალი მუსიკა, DJ, კარაოკე, ბენდი თუ სოლო შემსრულებლები, უამრავი გათამაშება და საჩუქრები, ეს ჩვენი ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილია. ორშაბათიდან – ორშაბათამდე, დილის 10:00 საათიდან – გამთენიის 04:00 საათამდე, ესკობარი მზადაა აქციოს თქვენი დღე დღესასწაულად. ლაუნჯი „ესკობარი“, მისი უმშვენიერესი ტერასით, მზად არის უმასპინძლოს თქვენს კორპორატიულ საღამოებს, პრეზენტაციებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებებს.

მისამართი: თბილისი,
ავლიპ ზურაბაშვილის N 13-15
ტელეფონი: 555 607 999

საერთო გაზეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983